პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 71 (20717) — სამშაბათი, 27 მარტი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

დანიშნეს სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის ბრძანებით სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრებად დანიშნული არიან: ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე**, იური დიმიტრის ძე **მასლიუკოვი**, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **კრიუჩკოვი**, დიმიტრი ტიმოთეს ძე **იაზოვი**, ჩინგიზ **აითმათოვი**, სტანისლავ სერგის ძე **შატალინი**, ვალენტინ გრიგოლის ძე **რასპუტინი**, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **იაკოვლევი**, ბენიამინ ალექსანდრეს ძე **იარინი**, ალბერტ ერნსტის ძე **კაულსი**, იური ანდრიას ძე **ოსიპიანი**, ევგენი მაქსიმეს ძე **პრიმაკოვი**, ვალერი ივანეს ძე **ბოლდინი**, ვადიმ ვიქტორის ძე **ბაკატინი**, გრიგოლ ივანეს ძე **რევენკო**.

მთავარია ნაწარმის ხარისხი

თბილისის. წინდის გაერთიანების კოლექტივი შეუდგა ლამაზი ელასტიკური კოლგოტების მასობრივ წარმოებას. ეს ერთ-ერთი სიახლეა. წლეულს საწარმოს დაგეგმილი აქვს 33 დასახელების 36 მილიონი წყვილი სხვადასხვაგვარი წინდის გამოშვება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხს. საწარმოში გაამკაცრეს ადგილებზე ყველა ოპერაციის შესრულებისადმი კონტროლი. აელენენ, უხარისხო ნაწარმის გამოშვების კონკრეტულ დამნაშავეებს და მკაცრად სთხოვენ პასუხს.

ხარისხის გაუმჯობესებას დიდად უწყობს ნელს ახალი ტექნიკის ინტენსიური დანერგვა. მაგალითად, ერთ-ერთ უბანზე დადგმულია ახალი ხაზი, რომელიც იტალიიდან მიიღეს.

კონკურენტუნარიან პროდუქციას დიდი მოგება მოაქვს. წლეულს განზრახული აქვთ 8.675 ათასი მანეთის ასეთი პროდუქციის მიცემა.

სუპერათებზე: ნაყოფიერად შრომობს მქსოველი მკერავ-ოპერატორი ციცინო ნარსია; იტალიური მრგვალად საქსოვი მანქანა.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ბოლო დღეებში, აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ კვების პროდუქტების წარმოების, დამზადების, შემოტანისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე, რამდენადმე სტაბილური გახდა ქალაქელთა მომარაგება კვერცხით, სხვა სახეობის სურსათით, რომელთა მიწოდება ამ გაზაფხულზე შემცირდა. როგორც საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ უფროსმა ვ. გვარჯალაძემ თქვა, რესპუბლიკის ქალაქები სულ მალე მიიღებენ 12 მილიონ ცალ კვერცხს. ამის დამატებით აპირებენ შემოტანონ კიდევ 10 მილიონი. მუშაობის ნორმალურ კალაპოტში დგებიან თბილისსა და რუსთავში კვერცხის დიდი მიმწოდებლები — თამარისის, მეჯვრისხევის, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკები. ხორცეულდება ღონისძიებები მოსახლეობის ფრინველის ხორცით მომარაგების გაუმჯობესებისთვის.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამჟამად დაისახა თევზხსა და თევზეულის შემოტანის სტაბილიზაციის ტენდენცია. კერძოდ, შემოტანილია ხეკი, სტავრიდა, ქამბალა, მელიც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება 30 მარტს, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან მასპინძელთა გუნდი „თბილისი“ (ყოფილი „დინამო“) და ფოთის „კოლხეთი“, ბედნიერი დასაბამი უნდა მისცეს ამ გათამაშებას.

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სამზადისი, რა პრობლემები უნდა გადაწყდეს მის დაწყებამდე დარჩენილ დროში, გაიმართა სჯა-ბაასი თამბირზე, რომელიც საქართველოს მინისტრთა საბჭოში მოიწყო. თამბირს უძღვებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ლორთქიფანიძე.

ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნ. ახალკაცი, ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. კვინიკაძე, ჩემპიონატის საუნიმო გახსნის სცენარის ავტორი რეჟისორი ო. ღვაბერიძე და სხვები. აღინიშნა, რომ მთლიანად სამზადისი ნორმალურად მიმდინარეობს, წყდება ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

შექმნილია საქართველოს ფეხბურთელთა პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიის მომზადებისა და მოწყობის შტაბი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სპორტსახელმძღვანელოს პირველი მოადგილე ვ. მახარაძე. მასში შედიან თბილისის აღმასკომის, საქალაქო სპორტკომიტეტის, რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

(საქინფორმი).

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

სამომავლო ხედვა ექსტრემალურ ვითარებაში

პრობლემები, პრობლემები, პრობლემები...

ყოველი დღე — ახალი, გართულებული, ზოგჯერ მოულოდნელი, უფრო მწვავეც. ერთს მეორე ენაცვლება, ტალღას ტალღა მოსდევს. მართლაც ტალღისებურად ვითარდება გარდაქმნა.

მაგრამ აზვირთდა მეცხრე ტალღა, ყველაზე მაღალი და დაუნდობელი: რა ჯებირს დავუპირისპირებთ?

დაძაბულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ჩვენს ყოველდღიურობაში, გაწყვეტაზეა პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, განსავთ, ადამიანური ურთიერთობანი.

მაპატიეთ არაორიგინალური შედარება, მაგრამ ჩვენ ყველანი პოლიტიკური ცხოვრების მაღალი ქედის ურთულესი ტრავერსის მონაწილეებს ვგავართ, უფსკრულის პირზე მიმავალთ, მთამსვლელებივით იმედის ერთადერთ თოკს ჩაბმულები, როდესაც ნებისმიერი ჩვენგანის მიერ უაზრობის სიცარიელეში გადადგმულ ნაბიჯს ადამიანთა ტრაგედიასთან ერთად ქვეყნის კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს. ეს განგაასხვავებს ალპინისტებისგან.

ვინც მთაში ყოფილა, იცის, რა სიმძიმე დაწვება ამ სიმაღლეზე, როგორ უჭირს ადამიანს უმარტივესი მოძრაობა, რომელსაც იქ, ბარში ყურადღებასაც არ აქცევდა, აქ კი ნებისყოფის დაძაბვასაც მოითხოვს ფიზიკურთან ერთად.

ამას კიდევ პირადი პასუხისმგებლობის ტვირთი ემატება ყველასი, ვინც თოკშია ჩაბმული, განსაკუთრებით მეწინავის.

ერთი საშიშროებაც ახლავს მთას (არა უკანასკნელი): მწვერვალზე ასულისათვის კნინდება და მცირდება ყველა და ყველაფერი, რაც იქ, ქვემოთ, ბარში დარჩა.

ეს სინდრომიც დასაძლევია.

ალბათ, ასე პროფილირდება ჩვენს წარმოდგენაში საქართველოს დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. იმ განსხვავებით, უთუოდ, რომ ზემოთ ნახსენებ თოკში სამშობლოს ბედია ჩაბმული.

აი, ასეთ, ეგებ გაცილებით უფრო რთულ სიტუაციაში, უხდება დღეს საქმისნობა რესპუბლიკის მთავრობას; ყოველდღე, ყოველ საათს ექსტრემალურ პირობებში.

და სწორედ ასეთ ვითარებაში, როდესაც ზოგჯერ ადამიანური სიმშვიდის შენარჩუნებაც კი ჭირს, მთავრობა წყვეტს არა მარტო ოპერატიულ საკითხებს, არამედ პერსპექტივისთვის გამიზნულ სტრატეგიული მნიშვნელობისას, თანაც — არაორდინალურად, ახალი კრიტერიუმებით გათვლილ დანახულს.

21 მარტის სხდომაზეც ასე იყო.

I.

რესპუბლიკის მთავრობის კონცეფციაში გარკვევითაა ჩამოყალიბებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოზიცია; საკუთარი გზით ბუნებრივ-საწარმოო, კულტურულ-ფსიქოლოგიური თავისებურებების, ჩვევებისა და ტრადიციების გათვალისწინებით და გაარეგნით ახალი ეკონომიკური სტრუქტურის შექმნა.

ამ სტრუქტურაში თავისი ადგილი უკავია გლეხურ მეურნეობებს, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან იდეის დონეზე არსებობდა, წლევანდელი იანვრიდან კი მთავრობის დადგენილებაა საქართველოს ხუთ მაღალმთიან რაიონში პრაქტიკულად დაინერგა. სხვათა შორის, ეს მთისგან ადამიანის განსახლების დასაძლევად გააზრებული კომპლექსური პროგრამის შემადგენელი ნაწილიც არის.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა გლეხური მეურნეობების დროებითი დებულება, მიწის საკუთრების სახელმწიფო აქტის ფორმა.

— აქტებით, ინსტრუქციებით, რეკომენდაციებით სოფლის მეურნეობის გაძღოლის ცენტრალიზებულ პრინციპს ვუბრუნდებით ისევ?

— სრულიადაც არა, — ამბობს მინისტრთა საბჭოს აგროსამრეწველო განყოფილების გამგე ზურაბ გეგეჭკორი, — პირიქით. მაგრამ მივიწყებული ძველის აღდგენა ზოგჯერ ახლის დანერგვზე უფრო ძნელია. დროებითი დებულება არეგულირებს გლეხური მეურნეობების საქმიანობის ძირითად ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ პირობებს. ბევრი კითხვა და გაურკვეველი საკითხი ჩნდება ამ დროს. მით უფრო, რომ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მექანიზმი დახვეწილი არ იყო. პრაქტიკამ სხვადასხვა ხარვეზი წარმოაჩინა, რაც საკმაო დაბრკოლებებს უქმნიდა გლეხებს. აუცილებელი შეიქმნა დროებითი დებულების შემუშავება. ამით მეურნეების ხელ-ფეხი გაეხსნებათ ინსტანციებთან ურთიერთობაში. ერთგვარი გამოცდილება დაგროვდა რესპუბლიკაში.

მიწის გლეხისათვის გადაცემა ზოგიერთს რატომღაც ამ გლეხის უპირველეს მიტოვებად წარმოუდგენია, მიაჩნია, რომ რახან მიწა მას გადაეცა მუდმივ მფლობელობაში, თავადვე მოუვლის და უხვი მოსავლიც გარანტირებული გვექნება.

რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ცივილიზებული, აყვავებული ქვეყნებიც კი თავიანთ ფერმერებს, სახელმწიფო-სამეურნეო კოოპერატივებს სოლიდურ დოტაციას აძლევენ მუდმივად და, რაც მთავარია, განიხილავენ მათ, როგორც არსებული აგრარული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ამ პოლიტიკას კი აგრარიკოს პროფესიონალების აპარატი წარმართავს.

პრეზიდიუმის სხდომაზე დეტალურად გაარკვიეს ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება წამოჭრილიყო დროებითი დებულების ზოგიერთი მუხლის სხვადასხვაგვარად განმარტების შემთხვევაში, რასაც შესაძლოა გართულებებიც კი გამოეწვია. შეეხებოდა ეს ტერმინების დაზუსტებასაც და, აქედან გამომდინარე, ნაგულისხმევ აზრსაც (მაგალითად, მიწის მიმართ ტერმინების „საკუთრება“ თუ „მფლობელობა“ გამოყენება), დამატებით წინადადებებსაც იჯარაზე გადასაყვანად და ა. შ.

დებულება (მიუხედავად იმისა, რომ დროებითია) უაღრესად სერიოზული დოკუმენტია, რომელიც გლეხური მეურნეობების შექმნიდან დაწყებული მიწათსარგებლობის საფუძვლებს, მეურნეობის საკუთრების, მისი ქონების სამართლებრივი დაცვის, შემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის, რეალიზაციის, დაკრედიტება-დაფინანსების, გადასახდელების და სხვა საკითხებს მოიცავს.

მაგრამ ორი პუნქტი (ალბათ, თავისი უჩვეულობით) მაინც განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა და უკომენტაროდ გთავაზობთ:

„გლეხური მეურნეობის საქმიანობამ სტიმული უნდა მისცეს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ზრდას, კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

აკრძალულია გლეხური მეურნეობის საწარმო საქმიანობაში სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩარევა“.

კომენტარი (დებულებაც, რასაკვირველია) გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდება; ტელევიზიით გადაიცემა სპეციალისტების „ჟრგვალი მაგიდა“.

II.

ახლა ის დროა, რომ, თუ თავის გამოჩენა გსურს, რომელიმე ორგანიზაციას უნდა მიეკედლო და, რაც შეიძლება ხმამაღლა მოითხოვო რაც შეიძლება უკანონო შედეგათები. მერე, უარს რომ გეტყვიან, სულ მარიონეტული უძახო მთავრობას. ამასობაში კარგად დაგიხსომებენ, გამოჩნდები. თუ არავინ გიცნობდა, გაგიცნობენ, თუ დავიწყებული ჰყავდით, გაგიხსენებენ („ეს ის კაცი ხომ არ არის, ამის და ამის გამო რომ.., უყურე შენ“! ზოგს რომელიმე სკანდალური ფაქტი გაახსენდება, ზოგი სხვას იტყვის. ზოგი სხვას. ეგ არაფერი. მთავარია, ტალღას შემოაჯდე).

თავის გამოჩენის მსურველებზე მოგახსენებთ მხოლოდ და არა იმათზე, ვისაც საქმის გაკეთება სურს. საქმის გამკეთებელი, დიახაც, წარმოსაჩენი და დასანახია, დიახაც, უნდა იცნობდეს ხალხი. ორმაგად დასაფასებელი არიან საქმის ჩუმი ერთგულები, „უშურველნი, ვითარცა ვაზნი“, სიკეთის უხმაუროდ მთესველნი და ხელისგამწვდენნი დამაშვრალთათვის.

მაგრამ ახლა ამ პრობლემას ვერ გავარჩევთ, რადგან ხალხი ბრძენია და თავადვე გაარკვევს, „ვინ ვინ არის“.

ამჯერად საზოგადოებისაგან დაფასებაზე მოგახსენებთ იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დედოგრაფიული საზოგადოების წარდგენით მიიღო დადგენილება სპპტიო წოდების „ქართველის დედაო“ დაწესების თაობაზე ბრძანებულების პროექტის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენის შესახებ.

ჭეშმარიტად დასაფასებელნი არიან ეს ქალბატონები. გვიმრავლოს!

დაკმაყოფილდა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისა და საქართველოს პროფსაბჭოს ერთობლივი წინადადება, რომ ყოველწლიურად, კვარტალში ერთხელ, არასამუშაო დღეებში, მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით გამოცხადდეს „დედის დღე“ და გამომუშავებული თანხა ჩაერიცხოს დემოგრაფიულ საზოგადოებას.

დემოგრაფიულ პრობლემებზე ლაპარაკი გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ამ პრობლემებზე მუშაობა. ვერც ვერავინ შეგიმჩნევს დღე და ღამე რომ გასწორებული გაქვს — გამოსაძებნია ფინანსები, გამოსაყოფია მიწა, ასაგებია სახლები, მოსანახია მასალა, მექანიზმები, მშენებლები. სიმძიმე და სიმრავლე ორგანიზაციული საკითხებისა ამ საქმის მესვეურთ ეყოს ამ მიზნით, მართლაც, დიდი და მძიმე შრომაა ჩადებული თუნდაც მხოლოდ ამ ჩამონთვალიში. მიწათმოქმედების ჩატარებულ სამუშაოებზე აღარაფერს მოგახსენებთ.

და მაინც, დემოგრაფია ისეთი სფეროა, რომელსაც, ეგებ, სხვაზე მეტად ჭირდებოდეს ფარო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა, მით უფრო მაშინ, როდესაც ბოლო წლებში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო (სხვა მიზეზითაც) აუცილებელი გახდა დაზარალებული მოსახლეობის რესპუბლიკაში განსახლება, აგრეთვე დემოგრაფიული ცვლილებათა რეგულირება ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ინტერესების შეულახავად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა კომისია, რომელშიც სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს სახალხო ფრონტის, დემოგრაფიული საზოგადოების, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლებიც შევიდნენ.

ამონაწერი დადგენილებიდან: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კომისიამ:

— განიხილოს სტიქიის შედეგად მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან და გამოთავისუფლებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შეფენა-ჩასახლებასთან დაკავშირებული საკითხები, მოქალაქეთა განცხადებები;

— წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებანი და დაურთოს, სათანადო დადგენილების პროექტი;

— დააწესოს კონტროლი მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი“.

ყურადღება მიაქციეთ ბოლო პუნქტს: მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი ეკისრება საზოგადოებრივ კომისიას. ასეთია დემოკრატიის დამკვიდრების პრაქტიკა.

III.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების განვითარებისა და სახალხო მეურნეობის გარდაქმნა-განახლების ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავრობისეული კონცეფციის პრაქტიკული განხორციელების, რესპუბლიკის სრული ეკონომიკური სუვერენიტეტის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების რეგიონალური პრობლემების, ახალი ეკონომიკური აზროვნებისა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების აქტუალურ საკითხთა ფართოდ გამუქების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების საქმიანობის პრაქტიკის, გამოცდილებისა და პრობლემების სათანადოდ ასახვის, მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გარშემო სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მოსახლეობისთვის ობიექტური, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს გამოცემა ქართულ ენაზე.

ამ ფაქტის დიდ ეროვნულ და დემოკრატიულ მნიშვნელობაზე, ალბათ, არ ღირს სიტყვის გაგრძელება. ამ შემთხვევაში, როგორც ნათქვამია, „საქმეთან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

მაგრამ ერთ მომავალ რუბრიკას მაინც მივაქცევდი თქვენს ყურადღებას. მისი სახელწოდებაა „ოპონენტი“. აქ, ამ რუბრიკით დაიბეჭდება მასალები, რომლებიც მთავრობის დადგენილებებს მზადების პერიოდში (შემდეგაც) გაუწევს ოპონირებას და, ჩემი აზრით, პრაქტიკული ნაბიჯია ოქნება სახელმწიფოს მართვისაგან ადამიანთა გასხვისების დასაძლევად. ესეც საკითხისათვის — დემოკრატიის პრაქტიკა.

ეს გაზეთი დღეს რომ გამოსულიყო, რუბრიკით „საქართველოს საერთაშორისო კავშირები“ უთუოდ გამოაქვეყნებდა მასალას „საქართველო-აშშ-შეერთებული ინდიკატორები-საფრანგეთი“, რადგან სწორედ ასეთია საერთაშორისო ურთიერთკავშირების შესახებ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 21 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილებების გეოგრაფია: თბილისში გაიხსნა აშშ ჯორჯიის შტატის ქ. ატლანტის საგაჭრო პალატის წარმომადგენლობა; ნება დაერთო ლანჩხუთის რაიონის აგროსამრეწველო ფირმას „ნარინჯს“ და შვეიცარიის ფირმას „ინტეკო ალპე ს. ა.“. შექმნან ერთობლივი საწარმო „გურტი“, ვანის სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო კომბინატს, აგროსამრეწველო კომბინატს, ვანის სამეცნიერო-სასწავლო-სამრეწველო კოოპერატივ „ნიკეს“, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტს და ფირმა „ერტას“ (საფრანგეთი) — შექმნან ერთობლივი საწარმო „ვანი“; რეგისტრირებულია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილი ასოციაციის „თბილის-ბრისტოლის“ წესდება.

ესეც მომავლისათვის გამიზნული გადაწყვეტილებებია დღევანდელ ექსტრემალურ ვითარებაში მიღებული.

გიორგი მუსერიძე.

ჩანაწერები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 21 მარტის სხდომიდან

**ორმაგად დასაფასებელი არიან ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

სახალხო მეურნეობა: სუვერენიტეტის გზა

ეთერზეთოვანი ზეთების ერის სიმდიდრეა

საქართველოში ეთერზეთოვანი კულტურების გაშენება-მოყვანის პირველი ცდა გასული საუკუნის მიწურულს იყო. 1897 წელს თელავის მაზრის სოფელ ნაფარეულში 6,5 ჰექტარზე გაშენდა ყაზანლიყის ვარდი, რომლის სამშობლოა ბულგარეთი. რევოლუციური აღმავლობისა და პირველი მსოფლიო ომის წლებში ეს ნარგაობა განადგურებულა. შემდგომში ქართველმა ხალხმა კვლავ მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობის ამ ძვირფასი დარგის განვითარებას. ამჟამად საქართველოში მევენახეობასთან და მეჩაიეობასთან ერთად, ეს დარგიც პრიორიტეტულია.

ეთერზეთი ზეთები ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კვების მრეწველობაში, პარფიუმერია-კოსმეტიკურ წარმოებაში, წარმოადგენს კაუჩუკის, ქარვისა და საღებავების საუკეთესო გამხსნელს და დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაშიც. მცენარეებში ეთერზეთების შემცველობა უმნიშვნელოა, რაც განაპირობებს ძვირფასი პროდუქციის დიდ ფასს. მაგალითად, ერთი კილოგრამი ყასმინის ზეთი 4 ათასი მანეთი ღირს, ვარდისა — 1700 მანეთი და ა. შ.

რესპუბლიკის მრეწველობა სპეციალიზებულია ევგენოლური რეჰანის, დაფნის, ეკალიპტის ზეთების წარმოებაზე, რომლებიც პრაქტიკულად არ მოპყავთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის ამ ზეთების ეჯსპორტს.

მოსახლეობის მატერიალური დაინტერესებით ბოლო ათწლეულში წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით ათჯერ გაიზარდა ევგენოლური რეჰანის ზეთის წარმოება. ევგენოლური ზეთი შეიძლება გამოვიყენოთ მიხაკის ზეთის შემცვლელად. ეს დაადასტურა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა.

ეკალიპტის ზეთის წარმოება ამჟამად არ აღემატება 3-4 ტონას წელიწადში. მის დეფიციტს მწვავედ განიცდის სამედიცინო მრეწველობა, სადაც იგი 35 პრეპარატის შემადგენელი ნაწილია. ფაქტობრივად რესპუბლიკას შეუძლია აწარმოოს წელიწადში სულ ცოტა 100 ტონა ასეთი ზეთი, ოღონდ საჭიროა გავაშენოთ ახალი პლანტაციები, წარმოებაში დავნერგოთ ევკალიპტის მოყვანის ეფექტიანი მეთოდი, გავზარდოთ მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება მისი მოყვანით.

უნარჩენო წარმოებისათვის გაერთიანება კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად ყველაფერს ღონობს. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნუგზარ ბაღათურიამ დაამუშავა საამისო ტექნოლოგია. ევგენოლური რეჰანის უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვამ აბაშის ეთერზეთების ქარხანაში პრაქტიკულად გამორიცხა გარემოს დაბინძურება ტოქსიკური ნარჩენებით, წლიური ეკონომიკური ეფექტი კი 800-900 ათას მანეთს შეადგენს. არანაკლები ეკონომია მოგვცა მარნეულის ეთერზეთების ქარხანაში დაფნისა და ევკალიპტის ზეთის უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიამ, ხოლო ხატნების (ოზურგეთის რაიონი) ეთერზეთების ქარხანაში დანერგილმა ციტრუსის ანარჩენებიდან ეთერზეთის მიღების ტექნოლოგიამ და მექანიზებულმა ბაზმა შესაძლებელი გახადა სამამულო წარმოების ციტრუსოვანთა ზეთების მიღება. მთლიანად ადრე გამოუყენებელი მეორადი ნედლეულიდან მიღებულია ათიათასობით მანეთის ახალი სახის პროდუქტები. რეზერვები კი გაცილებით დიდია. მაგალითად, თუ ამჟამად გაერთიანების საწარმოები ყოველწლიურად 60-70 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებენ, უნარჩენო ტექნოლოგიების სრული მასშტაბით დანერგვის შემთხვევაში უახლოეს 5 წლეში წარმოება შეიძლება 100-120 მილიონ მანეთამდე გაიზარდოს.

სხვა კულტურებთან შედარებით ეთერზეთების ნედლეულის წარმოება ძალზე სათუთი და შრომატევადია. გარდა ნიადაგის დამუშავებისა, ყველა სამუშაო ხელით სრულდება, რაც დიდძალ მუშახელს მოითხოვს, ამასთანავე ამ კულტურებზე დიდ გავლენას ახდენს გარეგნო პირობები: სეტყვა, ყინვა, გვალვა, შემოდგომის ხმირი წვიმები და ა. შ. იღუპება მოსავლის დიდი ნაწილი. უკანასკნელ წლებში ყინვებისა და სეტყვის შედეგად საგრძნობლად შემცირდა ვარდის მოსავალი, კვალსთბურებში კი განადგურდა რეჰანის ჩითილები, რის შედეგადაც დაირღვა დარგის აგროტექნიკური ვადები, შემცირდა საეგეტაციო პერიოდი, მეურნეობათა ნაწილმა ვერ შეასრულა ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები.

დარგის მართვას ისიც ართულებს, რომ ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ მეურნეობებს მოჰყავთ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც, აქვთ მეცხოველეობის ფერმებიც. ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები რესპუბლიკურ ორგანოებში წლების მანძილზე აყენებენ საკითხს ამ მეურნეობათა პროფილის შეცვლის თაობაზე, ასეთ პირობებში იცვლება შრომითი კოლექტივის გუნება-განწყობილება, ქვეითდება დისციპლინა, რთულდება ვითარება. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს შრომის საბოლოო შედეგებზე.

დიდი პრობლემებია ქარხნებში დანადგარ-მოწყობილობათა მხრივ. აპარატები და ტექნოლოგიური ხაზები ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, მათ კაპიტალურ შეკეთებაზე ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება, მაგრამ ნორმალური მუშაობა მაინც შეუძლებელია. სამი ათეული წლის წინათ ბათუმის სასოფლო მანქანათსაშენებელ ქარხანას დაუშბადებია ინჟინერ ს. ფალავანდიშვილის კონსტრუქციის უწყვეტი მოქმედების აპარატები, რომლებსაც ქარხნები წარმატებით იყენებდნენ რეჰანის გადასამუშავებლად. შემდგომში რეჰანის წარმოება შემცირდა და უპასუხისმგებლო მუშაკების დაუდევრობით არსებული აპარატები გაიძარცვა და წახდა. ამასობაში სოხუმის ეთერზეთების საცდელმა სადგურმა გამოიყვანა დაავადება „ფუზარიოზს“ გამძლე რეჰანი „კელასური-2“ და წარმოებაში დანერგა, რის შედეგადაც რესპუბლიკაში ამ კულტურის წარმოება კვლავაც გაიზარდა. დღის წესრიგში დადგა ძველი გადაყრილი აპარატების აღდგენა, იმავე მოდელის ახალი აპარატების დამზადება. ყოველივე ეს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას დაევალა, რაც კიდევაც განხორციელდა. აბაშის ეთერზეთების ქარხნისათვის დამზადდა 8 ასეთი აპარატი, მაგრამ იგი სამუშაოდ არ გამოდგა. ქარხანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამან ზარალთან ერთად გამოიწვია მეეთერზეთთა დიდი უკმაყოფილება. მადლობა ღმერთს, რომ ეს შეფერხება ბოლოს მაინც გამოსწორდა. შარშან აბაშაში ჩინებულად მუშაობდა ოცდაექვსი კომისრის სახელობის ქარხნის მიერ გადაკეთებული და დამონტაჟებული რვა აპარატი. ამჟამად ქარხანას ეთხოვთ სხვა ქარხნებისათვის პირველ რიგში დაგვიმზადოს ოცი ასეთი აპარატი.

არადა, ჩვენი ქარხნები ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოებისათვის სეიფოსად არ უშვებენ საჭირო აპარატებს, ხოლო რასაც უშვებენ, იმასაც საკმარისი რაოდენობით არ გამოგვიყოფენ. ჩვენი ძალებით ვამზადებთ ზოგიერთი სახის არასტანდარტულ დანადგარ-მოწყობილობებს, მაგრამ მათი გამოყენება შეუძლებელია ქარხნული წესით დამზადებული სპეციალური მაცივრისა და სხვა მოწყობილობათა გარეშე.

ეთერზეთოვანი მეურნეობებისა და სხვა წარმოების განვითარების შეფერხებას უძრაობის წლებში მრავალი სერიოზული მიზეზი ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ ზზრად იცვლებოდა დაქვემდებარებათა ფუნქციები. ერთ დროს რესპუბლიკური გაერთიანება დაექვემდებარა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროსა და დახმარებაც და ხელმძღვანელობაც ყოველნაირ მრეწველობის სამინისტროსა „სოიუზთეფრმეწველობა“ დაექვემდებარეთ, 1985 წლიდან საკავშირო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემაში გადაგვიდეთ, შარშანდელი ივნისიდან სსრ კავშირის მედიცინის მრეწველობის სამინისტროს აგროსულ-სამრეწველო კომპლექსის „სოიუზლეკრასპრომის“ სისტემაში გადაგვიყვანეს, რომელსაც ამჟამად „სოიუზფარმლეკრასპრომი“ ეწოდება. ასეთი გადაცემ-გადმოცემა მეტისმეტად დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არ ვიცით ეს უკანასკნელი ორგანიზაცია როგორ გაისიგრძეგანებს ჩვენს პრობლემებს. სხვა საკავშირო ორგანოებს ჩვენთვის არავითარი სიკეთე არ მოუტანიათ და არც არაფერი მოუციათ, წაღებით კი მიაქვთ მოგების დიდი ნაწილი. 1989 წელს ჩვენმა მოსკოველმა „პატრონმა“ განყოფილებას მხოლოდ ოთხიოდე ავტომანქანა და ტრაქტორი გამოუყო, მაშინ, როცა სისტემის მეურნეობას და საწარმოებს არ ჰყოფნიათ ტრაქტორები, ავტომანქანები და სხვა ტექნიკა, მოუგვარებელია მარაგნაწილების გამოყოფის საკმე და ა. შ.

უკანასკნელ წლებში ჩვენში მძვინვარებს სტიქია. ძლიერი ქარიშხლის, წყალდიდობისა და სხვათა გამო ინგრევა ან ნაწილობრივ ზიანდება გაერთიანების საწარმოთა შენობა-ნაგებობანი და სხვა ობიექტები. რაიონის ხელმძღვანელები ჩვენგან მოითხოვენ დახმარებას სახურავის, ხე-ტყის, ცემენტის, ბიტუმისა და სხვა მასალების გამოყოფის საკმეში, მაგრამ ჩვენ ბედის ანაბრად ვართ მიტოვებული და არავითარი საშუალებები არ გაგვაჩნია. პირიქით, ჩვენ თვითონ რაიონული ორგანიზაციის ხელის შემყურენი ვართ და მდგომარეობიდან გამოსავალს მათთან ერთად ვეძებთ.

დადგა დრო „საქეთერზეთმრეწვის“ გაერთიანება ერთხელ და სამუდამოდ დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს“ საქართველოს. მაშინ გაცილებით ადვილად დაისახება კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში ამ ძვირფასი დარგის შემდგომი განვითარებისათვის, უშუალოდ დავამყარებთ კონტაქტებს ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ერთობლივ საწარმოებსაც კი შეექმნით. რა დასამალია და, რესპუბლიკიდან ახლა ძვირფასი ზეთები იგზავნება, რომლიდანაც ჩინებული სუნამოები, წმალები თუ კიდევ სხვა რამ მზადდება. არავინ იცის, რომ ყოველივე ეს ქართული მიწის ბარაქაა. ამასთანავე, ამ პროდუქციის ადგილზე დამზადება დიდ შემოსავალს მისცემს რესპუბლიკას, მათ შორის კონვერტირებულ ვალუტას, რომელიც ეგზომ საჭიროა საქართველოსათვის.

გასული სამეურნეო წელი (თუმცა შედარებით მძიმე იყო) გაერთიანების მეურნეობა-ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. გამოუშვეს 70 მილიონამდე მანეთის სურნელოვანი ზეთები და მოგებამ 10 მილიონ მანეთს გადააჭარბა. წლეულს უფრო დიდი ამოცანები გვაქვს დასახული. მეურნეობებში გაჩაღდა მუშაობა მაღალხარისხოვანი ჩითილების გამოსაყვანად, სხვა სამუშაოთა საუკეთესო აგროვადებში ჩასატარებლად, საწარმოები კი ამავითვე ემზადებიან ახალი მოსავლის ნედლეულის მიღებადგადამუშავებისათვის. ერთი სიტყვით, გაერთიანების მთელი კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა იღვაწონ და იშრომონ დროის შესაფერისად, მხარი აუბან რესპუბლიკაში გაჩაღებულ საშვილიშვილო მოძრაობას — შევქმნათ ყველა პირობა რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, რაშიც ღირსეული უნდა იყოს ქართველ მეეთერზეთეთა წვლილი.

ილია ეცადაშვილი,
„საქეთერზეთმრეწვის“ უფროსი.

ახალციხე, ახალციხის, ბორჯომისა და ჭალეთის რაიონების სპეციალიზებულ მეურნეობებში ამჟამად მოშენებული კალმახი მალე თავს შეგვიწროვებულად იგრძნობს. რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანება „საქთევზმეურნეობა“ და ბელგიის ფირმა „გაბრიელ გრუპ ოვ კამპანინმა“ ხელი მოაწერეს ოქმს თანამშრომლობის განხრახვის შესახებ. მომავალი პარტნიორობის გამოცდილება ხელსაყრელია თუნდაც იმიტომ, რომ შესაძლებლობას მოგვცემს ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე მივიღოთ არა ათი, როგორც ამას ძლივს აღწევენ რესპუბლიკის მეგბადურები, არამედ 50-დან 100 კილოგრამამდე ძვირფასი თევზი.

— და თუ, ჩვენს წყალსატევებში ახლა მხოლოდ 180 ტონა კალმახს ვიჭერთ, — განმარტა ეს ფაქტი საქინფორმის კორესპონდენტის თზოვნით გაერთიანების თავმჯდომარემ ამირან ციხაძემ, — ფირმის ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის დადგმის შედეგად აქ ვაწარმოებთ სულ ცოტა 1000 ტონა თევზს. ხუთის ტონას რესპუბლიკის ფარგლებში გასაყიდად დავტოვებთ, მეორე ნახევარს — გადავამუშავებთ, ახლად გაყინულ კალმახს კი მივაწვდით საგარეო ბაზარზე. გასაღების შედეგად მიღება სოლიდურია მოსალოდნელი — 1,5 მილიონი დოლარი.

ახალციხისა და ბორჯომის მეურნეობათა ბაზაზე კალმახის წარმოება 400 ტონამდე უნდა გაიზარდოს ამჟამინდელი ოთხმოცი ტონის ნაცვლად. ამგვარი საწარმოები ბელგიაში მთლიანად მექანიზებულია. და იგივე ოთხასი ტონა კალმახის საწარმოებლად საკმარისია ორი და არა ოცი კაცი მომსახურე პერსონალი, როგორც, მაგალითად, ახალციხის მეურნეობაშია, სადაც მხოლოდ სამოც ტონა კალმახს იღებენ.

წინასწარი გამოანგარიშებით მოწყობილობის დამონტაჟება, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენება, თევზის მოსაშენებლად საკვების შეძენა დაახლოებით 360 ათასი დოლარი დაჯდება. ერთი სიტყვით, მთლიანად ავიზაზღაურებთ ყველა დანახარჯს, თუ ბელგიას სამი წლის მანძილზე ას ტონაზე ცოტა მეტ კალმახს მივაწოდებთ.

— **თუ შეიძლება, დაწვრილებით გვითხარით თქვენი პარტნიორების შესახებ...**

კალმახი „დასავლეთის“ კურსს დაადგა

— **როგორ მყარდებოდა ურთიერთობა თავიდან?**

— შარშან სექტემბერში ფირმა „გაბრიელის“ ოფიციალური რწმუნებული ჟერარ ბრუკი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა ვალონის პროვინციის დელეგაციას, საქართველოს ეწვია. გაზეთადების არ შემეშინდება — იგი აღტაცებული დარჩა ჩვენს საკალმახე მეურნეობათა ბაზაზე. კოოპერირების აშკარა პერსპექტივებით. სტუმრის აყურადღება მიიპყრო საქართველოს ბუნების სიწმინდემ, რომელიც ჯერჯერობით კვლავ შენარჩუნებულია. სწორედ მაშინ მოვაწერეთ ხელი კიდევ ერთეულ წოდებულ ოქმს განზრახვების შესახებ. საპასუხო ვიზიტი მოჰყვა მიწვევას, რომელიც მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს მივიღეთ. ახლა დადგა საქართველოს დელეგაციის წევრთა — რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქთევზრეწვის“ თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩხარტიშვილის, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის რექტორის გ. აგლაძის, რესპუბლიკის სახაგრომთა შორის, რადიაციის მინიმალური დონით, ჩვეულებრივ, მდინარის წყალთან შედარებით) საწარმოს აწვდის, რაც საჭიროა არა მარტო კალმახის, არამედ კობრის, ლოქის, ღეკორატიული -ჯიშის თევზების, აგრეთვე სატყუარა თევზების მოსაშენებლად, რომელსაც მოყვარული მეშაბდურები იყენებენ. ეს საწარმო საქმის გაძღოლისადმი წვრილმანამდე მოფიქრებული მიდგომის მკაფიო მაგალითია. ჯერჯერობით სწორედ ეს გვაკლია ჩვენ.

გაგვაოცეს მტკნარი წყლისა და ოკეანის თევზის გადასამუშავებელმა ქარხნებმა ეტში, ლენინეულსა და მალმედში. ამ საწარმოთა მუშები გასასვლელის გვერდის ავლით მაშინვე საშხაპე ოთახში შედიან. და შემდეგ მთელი სამუშაო დღის მანძილზე ტერიტორიიდან არ გადიან, აქ ყველაფერია—ყველას გემოვნებისათვის შესაფერი მოხერხებული პირობები, ორგანიზებული კვება, დასვენება. თუმცა ხანმოკლე დასვენება, მაგრამ მეტად შინაარსიანი.

ვალონიაში ნანახი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ შეგვექმნა წარმოდგენა პარტნიორის საქმიან თვისებებზე. მოგზაურობამ მონტე-კაიუსა და რუპტონში — უკვე მეზობელ სფერაგეთის ქალაქებში, მხოლოდ განამტკიცა ეს. გვინვენეს საკალმახე მეურნეობები, რვა მილიონი ლიფსიტის მოსაშენებელი ლაბორატორია, კალმახის გადასამუშავებელი ხაზი. იგივე შთაბეჭდილება დავგრჩა; მალე, დაუყოვნებლივ დავამყაროთ მტკიცე კონტაქტები.

ვალონიაში დაბრუნების შემდეგ რობერტ და რუდოლფ გაბრიელებმა გადმოდგეს კიდევ ერთი ნაბიჯი დასაახლოებლად. ფირმამ გადაწყვიტა თავის სკოლაში საქართველოსათვის მოამზადოს საშუალო რგოლის სპეციალისტები, აგრეთვე იშუამდგომლოს ლიეჟის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე ამ უძველეს სასწავლებელში ხუთი წლის მანძილზე უმაღლესი კვალიფიკაციის მეგბადუთა მომზადების შესახებ, თანაც — უსასყიდლოდ. არადა, სწავლების კურსი ყოველ სტუდენტს ოცდაათი ათასი დოლარი უჯდება.

ვიზიტის დასასრულს დავდეთ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი შეთანხმება. ორი თვის შემდეგ, საქართველოში, ყველა გარემოების საბოლოო გარკვეისათვის, რაც შემდგომ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული, ჩამოვა ფირმის რამდენიმე წამყვანი სპეციალისტი. ჩვენს შესაძლებლობებს ადგილზე რომ გაეცნობიან, ისინი შემოგვთავაზებენ რესპუბლიკის საკალმახე მეურნეობის მწარმოებლობის გაუმჯობესების თავიანთ მეთოდიკას. ეს, უწინარეს ყოველისა, ეხება კალმახის ბინადრობის პირობებს, გამრავლების უნარს. შემდგომი ეტაპები პერსპექტიული ტექნოლოგიის — საკვების ავტომატური დანაწილების, დახარისხების, თევზის გადამუშავების დანერგვა. პერსპექტივაშია თევზის ახალ მეურნეობათა გამოყენებისა და განვითარების შესაფერისი აკვაკულტურული ტექნოლოგიის განსაზღვრა. აქ, მაგალითად, მოვაშენებთ გველთევზასა და სხვა ჯიშის თევზებს...

ერთი სიტყვით, პარტნიორებს მომავალი წინა აქვთ.

გ. პონსენი.

ეს ღღეები სოფლად

ნასაკირალის ჩაის პლანტაციებში

ოზურგეთის რაიონის მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობებში სამაგალითოდ შრომობენ სამეურნეო წლის ჩაის მაღალი მოსავლის მისაღებად, აქედანვე უყრიან მყარ საფუძველს ხვავსა და ბარაჟს. ნასაკირალის ჩაის მეურნეობა-კომბინატის (დირექტორი — ნოდარ ტაკაძე) მეჩაიეები გონივრულად იყენებენ ხელსაყრელ ამინდებს. აგროტექნიკურ ვადებში ატარებენ პლანტაციების დამუშავების სასარგებლო ღონისძიებებს. 280 ჰექტარზე დაამთავრეს ჩაის ბუჩქების მსუბუქი შებარვა და ფოსფორიანი, ხოლო 185 ჰექტარზე — კალიუმის სასუქების შეტანა.

მეურნეობის თითქმის ყველა განყოფილებაში, ბრიგადაში დამთავრდა ბუჩქების მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლა, საღრენაჟო არხების გაყვანის სამუშაოები. საგაზაფხულო სამუშაოები დიდი წარმატებით მიმდინარეობს მეურნეობის იმ განყოფილებებში, რომლებსაც გამოცდილი აგრონომები რომან ჭედია და ტოგო ჭანჭალიანი ხელმძღვანელობენ. ჩაის პლანტაციებს ჩინებულად უვლიან მეშვიდე, მეთერთმეტე და მეორე ბრიგადების (ხელმძღვანელები — ალი ართმელაძე, ომარ დიდმანიძე, კაპიტონ ჯიჯიშვილი) წევრები.

ცალკეული მეჩაიეებიდან სანაქებოდ შრომობენ უხვი მოსავლის ოსტატები მანანა თავართქილაძე, ნონა თავაძე, თინა ართმელაძე, რომლებმაც შარშან 6-10 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული მოკრიფეს, წელს უფრო მეტს გვპირდებიან. ნასაკირალელებს გადაწყვეტილი აქვთ სანიმუშოდ დაამთავრონ პლანტაციების საგაზაფხულო სამუშაოები, სეზონში მოკრიფონ სულ ცოტა 4.500 ტონა ფოთოლი.

გეგლარ ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ერთი შეხედვით, რაიონის კოოპერაციული მრეწველობის კომბინატს (დირექტორი თ. სანგლაძე) დასამდური არაფერი აქვს. შარშან მან პურ-ფუნთუშეული, ფქვილისა და საკონდიტრო ნაწარმი 5427 ტონის ნაცვლად 6298,9 ტონა გამოუშვა, ასე რომ მოსახლეობამ გეგმის გადამტებით თითქმის 872 ტონა პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი მიიღო.

ყოველივე ამისათვის კომბინატის მესვეურებს, ალბათ, მადლობას უნდა ეუბნებოდნენ. მაგრამ სოფლის მშრომელები უკმაყოფილნი არიან, ხშირად მაღაზიებში პური არ არისო, თანაც ხარისხით თუ წონით არასტანდარტულიაო.

ქარელის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიონის მოსახლეობის პრეტენზიები უსაფუძვლო არ ყოფილა.

სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო შარშან კოოპერაციული მრეწველობის კომბინატში შემავალი მარტივი ტიპის თონეებიდან 7-მა, ანუ 58 პროცენტმა, გეგმა ვერ შეასრულა. ამის გამო მოსახლეობამ ვერ მიიღო 230 ტონა თონის პური.

უკვე მეორე წელია, რაც ამ კომბინატის პურის ქარხანას არემონტებენ. ამის გამო რაიონის მოსახლეობას ყოველდღიურად საშუალოდ 7 ტონა პური აკლდება, ამიტომ იძულებული არიან მეზობელი რაიონებიდან შემოიტანონ. იქაც თავიანთი პრობლემები აქვთ და არც თუ იშვიათად იძულებულ სავაჭრო ობიექტებისაკენ პურის მოწოდების გრაფიკი, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

პრეტენზიებს იწვევს ისიც, რომ უზრუნველყოფილი არ არის ასორტიმენტით გათვალისწინებულ საჭიროებათა გეგმაზომიერი გამოშვება. მაგალითად, შარშან 30-პროცენტიანი (ე. წ. თეთრი პური) და თონის პური მხოლოდ 222 ტონა გამოაცხეს, რაც მთელი პურ-ფუნთუშეული ნაწარმის მხოლოდ 3,5 პროცენტია. შავი ანუ 96-პროცენტიანი პური კი მთელი მოცულობის 10 პროცენტს უტოლდება. მართალია, მოსახლეობაში დიდი მოთხოვნაა დიაბეტურ პურზე, მაგრამ მისი ხვედრითი წილი 0,5 პროცენტს არ აღემატება.

ისიც უნდა ითქვას, რომ მთლიანად არ ითვისებენ ფონდით გამოყოფილ ნედლეულს. 30-პროცენტიანი ფქვილი 310 ტონა არგუნეს, აქ კი 64,5 ტონით ნაკლები აითვისეს, 96 პროცენტიანი ფქვილი 490 ტონის ნაცვლად 446,5 ტონა მიიღეს, რატომღაც აუთვისებელი დატოვეს 2 ტონა მარგარინი და 2 ათასი ლიტრი ზეთიც.

იშვიათი როდია უხარისხო პურის გამოშვების ფაქტები. შეტოშმუშებისს დაბა აგარისა და სოფელ ზღუდრის ფურნეებში ფორმადაკრგული და გასაყიდად გამოუყენებელი 31 კილოგრამი 80-პროცენტიანი და 16 კილოგრამი 72-პროცენტიანი ფქვილისგან გამომცხვარი პური დაიწუნეს. სოფელ ბრეთის თონეში საკონტროლოდ აღებული 10 პურიდან თითოეულს 90 გრამი აკლდა.

აქ არც ფასების დამახინჯებას ერიდებიან.

სახალხო კოტროლიორებმა ნა ფერადი ლითონის ჯართი დაიკლო. შემოწმებით აქ ჯართის ნეგმის შესრულების დიდი რეზერვები გამოვლინდა ჩამოწერილი ჩარხების და ფოსფორის ნარჩენების სახით. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე სამინისტროს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაშიც (დირექტორი ვ. ჩხაიძე).

რესპუბლიკამ 1990 წელიც შავი და ფერადი ლითონის ნარჩენებისა და ჯართის დამზადების გეგმის შეუსრულებლობით დაიწყო.

კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის, სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის გაერთიანება „საქსამოკმრეწვმშენის“ და საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმაც, რომლებმაც სახალხო მეურნეობას 2252 ტონა შავი და 73,2 ტონა ფერადი ლითონის ჯართი დააკლეს. განსაკუთრებით ჩამორჩა ამიერკავკასიის მეტალურგშენის № 1 ტრესტი (მმართველი—ზ. კაპანაძე), რომელზეც გაერთიანების შავი ლითონის ჯართის ჩაბარების გეგმის შეუსრულებლობის 58 პროცენტი მოდის. მხოლოდ 27 პროცენტით შეასრულა ტრესტმა ფერადი ლითონის ჯართის დამზადების გეგმაც. ამ ტრესტის 14 სამეურნეო ერთეულიდან ვერც ერთმა ვერ შეასრულა ჯართის დამზადების სახელმწიფო შეკვეთა.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია ამ მიმართულებით ტრესტის № 1 სამმართველოს (უფროსი — კ. ლეკვეიშვილი), № 7 სამმართველოს (უფროსი — ი. რუხაძე), საშენ მასალათა კომბინატის (დირექტორის მოადგილე — ნ. გელენავა) და მცირე მექანიზაციის უბნის (უფროსი — მ. ცირეკიძე) კოლექტივების მუშაობა. ამ საწარმოებში სახელმწიფო შეკვეთების შეუსრულებლობის დროს 900 ტონა ჯართის რეზერვები გამოვლინდა, რომელთა გონივრული გამოყენება ტრესტს ჯართის ჩაბარების გეგმის შესრულების გარანტიას აძლევდა.

რესპუბლიკას 1593 ტონა შავი და 260 ტონა ფერადი ლითონის ჯართი დააკლო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს.

ასევე ვერ შეასრულეს ჯართის დამზადების სახელმწიფო შეკვეთები სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოსმენებლობის სამინისტროს საწარმოო კოოპერატივმა „ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანამ“ (დირექტორი — ვ. ხოხობაია), რომელმაც სახელმწიფოს 227 ტონა შავი და 14 ტონა ფერადი ლითონის ჯართი ვერ ჩააბარა. ეს ფაქტები ამ ორგანიზაციის ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ასეთ ფაქტებს ადგილი ორგანიზაციებში ეროვნული ეკონომიკისა და ეფექტიანობის გაზრდის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 20 იანვრის №21 დადგენილებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულებას. უფრო მეტიც, საკონტეინერო ტვირთბიდვის მოცულობა რესპუბლიკის რკინიგზაზე 1986-1989 წლებში ფაქტობრივად 68 ათასი ტონით (11 პროცენტით) შემცირდა, აქედან თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში — შესაბამისად 8,5 და 35,5 პროცენტით; შემცირდა კონტეინერების სტატისტიკური დატვირთვაც, გაიზარდა ბრუნვის დრო, რის შედეგადაც გზაზე 1989 წელს ყოველდღიურად კონტეინერების ნაშთი ნორმით გათვალისწინებულს 2,3-ჯერ აღემატებოდა.

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა სათანადო მოთხოვნებს არ უყენებს სამმართველოს საკონტეინერო ტვირთბიდვისა და კომერციული მუშაობის სამსახურს, სამტრედიის და თბილისის ბელმძღვანელობა ურიგდება რესპუბლიკის რკინიგზაზე საკონტეინერო ტვირთბიდვის დაბალ დონეს.

თბილისისა და სამტრედიის რკინიგზის განყოფილებათა ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფენ რკინიგზის სადგურებში კონტეინერების დაცლა-მევსების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას, ცალკეულ სამსახურებსა და უბნებს შორის შეთანხმებულ მოქმედებას, შესრულებული სამუშაოების პირველადს აღრიცხვას. მათი მხრიდან სრული უკონტროლობისა და წაყრუების პირობებში სადგურებში მოჩვენებითი „ეთილ-

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვის ორგანიზაციის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ.

როგორც კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, თბილისისა და სამტრედიის განყოფილებები ვერ უზრუნველყოფენ „მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საკონტეინერო და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 20 იანვრის №21 დადგენილებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულებას. უფრო მეტიც, საკონტეინერო ტვირთბიდვის მოცულობა რესპუბლიკის რკინიგზაზე 1986-1989 წლებში ფაქტობრივად 68 ათასი ტონით (11 პროცენტით) შემცირდა, აქედან თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში — შესაბამისად 8,5 და 35,5 პროცენტით; შემცირდა კონტეინერების სტატისტიკური დატვირთვაც, გაიზარდა ბრუნვის დრო, რის შედეგადაც გზაზე 1989 წელს ყოველდღიურად კონტეინერების ნაშთი ნორმით გათვალისწინებულს 2,3-ჯერ აღემატებოდა.

რატომ ცდება კონტეინერები?

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ფაქტიკურ ანგარიშებში კონტეინერების ფაქტობრივ რაოდენობას და აყალბებენ ანგარიშგებას. აქ 1989 წელს სტატისტიკური ანგარიშებში კონტეინერების რაოდენობა ფაქტობრივზე შესაბამისად 3-ჯერ და 1,6-ჯერ ნაკლები იყო ნაჩვენები.

უფრო მეტიც, შემოწმებულ რკინიგზის სადგურებში არ აღრიცხავენ კონტეინერების კლიენტურასთან სრულ მოცდენებს და შესაბამისად საერთოდ არ იყენებენ ორმატიულზე საგრძნობლად მეტია.

თბილისის სატვირთო და საკვანძო სადგურებში არ აღრიცხავენ კონტეინერების ფაქტობრივ რაოდენობას და აყალბებენ ანგარიშგებას. აქ 1989 წელს სტატისტიკური ანგარიშებში კონტეინერების რაოდენობა ფაქტობრივზე შესაბამისად 3-ჯერ და 1,6-ჯერ ნაკლები იყო ნაჩვენები.

უფრო მეტიც, შემოწმებულ რკინიგზის სადგურებში არ აღრიცხავენ კონტეინერების კლიენტურასთან სრულ მოცდენებს და შესაბამისად საერთოდ არ იყენებენ

მეორეული, მაგრამ პირველხარისხოვანი...

შავი და ფერადი ლითონების ნარჩენებსა და ჯართს, მართალია, მეორეული რესურსებს მიაკუთვნებ

ევროპის მწვანეთა შეხვედრა

1990 წლის 16-19 მარტს ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის მწვანეთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელშიც საქართველოს მწვანეთა პარტიის დელეგაციაც მონაწილეობდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია და პოლიტიკური კომიტეტის წევრი ირაკლი ჩუბინიშვილი.

ევროპის მწვანეები ევროპის საბჭოსწიფოების მწვანეთა პარტიების პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც 1984 წელს შეიქმნა და დღეისათვის 18 სახელმწიფოს 21 პარტიას აერთიანებს. 1989 წლის დეკემბერში ამ გაერთიანებაში შეიყვანეს ესტონეთის მწვანეთა მოძრაობა. ეს „პირველი აღმოსავლეთ-ევროპული სახელმწიფო იყო, რომლის წარმომადგენლებიც ამ ორგანიზაციაში შევიდნენ. დღეისათვის ევროპის მწვანეთა ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს ურთიერთობას აღმოსავლეთ ევროპის მწვანეებთან, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში განმავისუფლებელი პროცესების ხელშეწყობას, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მწვანეებმა 1989 წლის დეკემბერში გამართულ თავიანთ კონგრესზე მიიღეს მიმართვა ევროპის მწვანეთა ორგანიზაციისადმი. სთხოვეს მიეღოთ ამ ორგანიზაციის წევრად დამკვირვებელი პარტიის სტატუსით (წესების თანახმად, ნებისმიერი პარტია ჯერ იღებს დამკვირვებლის სტატუსს, მხოლოდ შემდეგ — სრულუფლებიანი წევრის უფლებებს). ეს მიმართვა განიხილეს ბუდაპეშტის საკოორდინაციო შეხვედრაზე და საქართველოს მწვანეთა პარტია, ისევე როგორც პოლონეთისა და მალტის პარტიები, მიიღეს ევროპის მწვანეთა გაერთიანებაში დამკვირვებელი პარტიის სტატუსით. იქვე ამ გაერთიანების სრულუფლებიან წევრად მიიღეს აღმოსავლეთ გერმანიის მწვანეთა პარტია.

ბუდაპეშტის შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მწვანეთა მემორანდუმის განხილვას. იგი წარედგინება ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციას, რომელიც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართება ჰელსინკში (ჰელსინკი — 2). მემორანდუმის პროექტში აღნიშნულია, რომ ომისშემდგომი სტრუქტურების რღვევამ არ უნდა გამოიწვიოს ნაციონალიზმის აღორძინება, რამაც XX საუკუნეში ამდენი უბედურება მოუტანა ევროპასა და მთელ მსოფლიოს. სტალინისტური, მილიტარისტული სტრუქტურებისაგან განთავისუფლებამ უნდა მიგვიყვანოს დეცენტრალიზებული, კონფედერაციული ევროპული თავისუფალი თანასაზოგადოების შექმნამდე.

საქართველოს, შვეიცარიისა და ესტონეთის დელეგაციების მოთხოვნით, დაძაბული დისკუსიის შემდეგ, მემორანდუმის პროექტში შეტანილია ფორმულირება: „ეფუძნებიან რა ერთა თვითგამორკვევის პრინციპებს, ევროპის მწვანეები მხარს უჭერენ ბალტიის რესპუბლიკებისა და საქართველოს მოთხოვნებს თავად წარმართონ საკუთარი ბედი, ისევე, როგორც სხვა თავისუფლების არმქონე ხალხების მოთხოვნებს“. ამავე დელეგაციების დაყენებული მოთხოვნით, კონფერენციამ მიმართა ევროპის ყველა სახელმწიფოს მთავრობებს, რათა მათ შემდგომი დაყოვნების გარეშე, ცონლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და დაამყარონ მასთან დიპლომატიური ურთიერთობანი.

ბუდაპეშტის შეხვედრის შემდეგ ევროპის თითოეული მწვანეთა პარტია გაგაგრძელებს მუშაობას ჰელსინკი-2 კონფერენციის მემორანდუმის ტექსტის სრულყოფისათვის. ევროპის განვითარების პრობლემები, ევროპული თანასაზოგადოების შექმნის პერსპექტივები განიხილება მომდევნო საკოორდინაციო შეხვედრაზე ბრიუსელში, ევროპარლამენტის შტაბ-ბინაში, ა. წ. ივნისში. მემორანდუმის საბოლოო ტექსტი მიღებულ უნდა იქნეს სექტემბრის საკოორდინაციო შეხვედრაზე, რომელიც სავარაუდოდ გაიმართება თბილისში, საქართველოს მწვანეთა პარტიის მოწვევის საფუძველზე.

თბილისში ევროპის მწვანეთა საკოორდინაციო კონფერენციის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის შემდგომი დამკვიდრებისათვის, ევროპის სახელმწიფოთა სისტემაში კუთვნილი ადგილის დაბრუნებისათვის. მით უფრო, თუ ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნება ჰელსინკი-2 კონფერენციის უმნიშვნელოვანესი მოსამზადებელი დოკუმენტი.

საქართველოს მწვანეთა პარტიის სახელით

ზურაბ ჟვანია.

სიგუაცია გამწვავდა

სომხეთის სს რესპუბლიკიდან და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან მოსული ინფორმაცია კვლავ წუხილსა და გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. 22 მარტს დილით სომეხ ექსტრემისტთა ჯგუფმა სცადა მოემარჯვებინა სეტყვასაწინააღმდეგო ქვემეხი აზერბაიჯანის სსრ დასახლებული პუნქტებისათვის ცეცხლის დასაშენებად. მაგრამ ჭურვი აფეთქდა. ორი ექსტრემისტი დაიღუპა, არიან დაჭრილები.

იმავე დღეს სომხეთის არტაშატის რაიონის ეგრეთ წოდებული „ეროვნული თვითგამორკვევის გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის წევრები, რომლებიც ავტომატებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებული, შეიჭრნენ რაიონის პარტიულ-საბჭოთა ორგანოების მუშაკთა კაბინეტებში და მათ ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ.

მკვეთრად გამწვავდა ვითარება სომხეთის სსრ ნოემბერიანის რაიონისა და აზერბაიჯანის უაზახის რაიონის საზღვარზე. 23-24 მარტს ამ რაიონების მთელ რიგ სოფლებში ორივე მხარემ გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, ცეცხლს უშენდნენ ავტომანქანებს, საცხოვრებელ სახლებს. სომეხი ექსტრემისტები თავს დაესხნენ აქსიპირის, ბაგანის, აირუმის დასახლებულ პუნქტებს. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 7 აზერბაიჯანელი, მათ შორის ორი ბავშვი და მილიციის თანამშრომელი. შეტაკებათა დროს აგრეთვე დაშავდნენ სომეხი ქალი და ბავშვი. იყო მძევალთა გატაცების შემთხვევები.

24 მარტს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შუშის რაიონში ავტოგასაწყობ სადგურში ეკლან-ლაჩინის გზის გაყოლებით ააფეთქეს საათის მექანიზმიანი თვითნაკეთი მოწყობილობა. ავტოგასაწყობი სადგური მწყობრიდან გამოვიდა. იმავე დღეს სალამოს სომხეთის სსრ მეგრის რაიონში მოხდა აფეთქება ნორაშენბაქოს სამგზავრო მატარებლის ერთ-ერთი ვაგონის ქვეშ. ამის შედეგად თბილავალი და ორი ვაგონი რელსებს ასცდა. მსხვერპლი არ არის. მეგრის სადგურში ლინდგვენის განთავისუფლებისა და ავარიის ადგილას აღსდგენი მატარებლის გატარების დროს სარეზერვო თბომავალს ცეცხლი დაუშინეს ექსტრემისტებმა. მატარებლების მოძრაობა შეწყდა.

მწარე, ტრაგიკული ცნობებია, ისინი ორმაგად მწარეა იმიტომაც, რომ ხელისუფლების, საზოგადოებრიობის უდიდესი მეცადინეობით უკანასკნელ ხანს მოხერხდა ამ რეგიონში სიტუაციის ერთგვარი შენელება, ტრანსპორტის მუშაობის განახლება, სახალხო-სამეურნეო ტვირთის მიწოდება სომხეთის სს რესპუბლიკაში. მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ ექსტრემისტულ ძალებს ხელს არ აძლევენ დგომარეობის ასეთი განვითარება. მათ სურთ დაარღვიონ სტაბილიზაციის ეს პირველი შედეგები და კვლავ გაიჩაღონ კონფლიქტები, ანგარიში არ გაუწიონ მსხვერპლსა და ნგრევას. სომეხ ექსტრემისტთა მოქმედება, კერძოდ, ძირს უთხრის თავად სომეხი ხალხის ინტერესებს. რეგიონში ძალადობის ახალი გაძლიერება რომ თავიდან აიცილონ, სამართალდაცვით ორგანოებს მიეცათ მითითება გულდასმით გამოიძიონ ყველა აღნიშნული ფაქტი, იპოვონ დანაშაულები და მკაცრად აგებინონ პასუხი.

შეიქმნა კოოპერაციორთა პროფკავშირი

სახალხო მეურნეობაში ეკონომიკის ახალი სექტორის — კოოპერატიული მოძრაობის აღმოცენებასთან ერთად თავი იჩინა კოოპერატივების მუშაკთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ბევრმა პრობლემამ.

არსებული კოოპერატორთა ასოციაციები და მათი კავშირი მხოლოდ ეკონომიკური პრობლემებით იყვნენ დასაქმებული და არ ეძიებდნენ სოციალურ საკითხებში. სწორედ ამ უკანასკნელის გადაჭრის მიზნით და კოოპერატორთაგან შემოსული წინადადებების გათვალისწინებით 27 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს კოოპერატორების მუშაკთა პროფკავშირის დამფუძნებელი ყრილობა, შეიქმნა კოოპერატორთა პროფესიული კავშირი, არჩეული იქნა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, რომელიც საკანონმდებო ინიციატივის უფლებით სარგებლობს.

კოოპერატივების პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადრე აღქმედი იმ წესისაგან განსხვავებთ, რომლის თანახმად კოოპერატივები თვითნთი საქმიანობის ხასიათისა და უწყვეტრივი დაქვემდებარების მიხედვით უნდა გაერთიანებულიყვნენ მოქმედ დარგობრივ პროფესიულ კავშირებში. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეს იყო დროებითი და დღეს მოქმედი ბევრი კოოპერატივი ვეღარ თავსდება არსებულ სქემაში, ჯერ ერთი, ყველა მათგანს არ გააჩნია საბაზო საწარმო,სადაც ისინი პროფკავშირულ აღრიცხვაზე იქნებიან აყვანილი, მეორე, ბევრი კოოპერატივი მრავალპროფილიანია და მესამეც, არ იქნება მოულოდნელი თუ ვიტყვით, რომ პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტები, მათი პროფკავშირული ორკანიზაციები მცირედის გამოკლებთ, მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ იჩენდნენ კოოპერატივებისადმი. ბევრ კოოპერატივში ჯერაც არ არის შექმნილი პროფკავშირული ორგანიზაცია. ამიტომაც კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და, შესაბამისად, მშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარეთ აღმოჩნდნენ. კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის შექმნას საქართველოს კოოპერატიული მოძრაობისთვის მაკონსოლიდირებელი მნიშვნელობაც აქვს.

კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას რომ განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის ამ ახალ სექტორს, თუ ის სათანადოდ განვითარდება და სრულყოფილი გახდება, შეუძლია დაძლიოს ეკონომიკის სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობა, ხელი შეუწყოს საბაზო ურთიერთობების განვითარებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას.

საქართველოს კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე დამტკიცდა პროფესიული კავშირის წესდება, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახალი პროფკავშირი საგრძნობლად განსხვავდება ყველა არსებულისაგან.

კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის ძირითად ფუნქციებში შედის კოოპერატივებში მომუშავეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მშრომელთა მუშობის, დასვენების და ყოფა-ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესებისათვის სოციალური ღონისძიებების გატარება. პირველადს პროფკავშირული ორგანიზაციების განკარგულებაშია პროფკავშირული სახსრების საზრიანი გამოყენების სრული თავისუფლება.

ახალი პროფესიული კავშირის წესდებაში დიდი ადგილი ეთმობა კომერციულ საქმიანობას, შემუშავებული გვაქვს, აგრეთვე, მეტად საქმიანი პერსპექტიული გეგმები, რომლებიც კოოპერატორთა სამომავლო სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ არის მიმართული.

ირაკლი ტულუში.

კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ტრაგიკული ლეგენდა

დ. ჭონქაძის დაბადების 160 წლისთავის გამო

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, რომ ლეგენდა სურამის ციხის აშენებისა, რომელიც საფუძვლად დაედო დანიელ ჭონქაძის ცნობილ მოთხრობას, სახეშეცვლილი თქმულებაა სამშობლოს გადარჩენისათვის თავის შემწირველის შესახებ. ლეგენდის შექმნისას არსებულა რწმენა, რომ ერი, რაც უნდა მცირე იყოს, უძლეველი და დაუმორჩილებელია, თუ მის ყველა წევრს შეგნებული აქვს სიდიადე და სიკეთე სამშობლოს თავისუფლებისა და მისთვის თავის განწირვისა.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ კი ეს დიდებული საქციელი — ცოცხლად კედელში საკუთარი სურვილით და ნებით ჩატანება აღარაა მთავარი. აქ ზურაბი მსხვერპლია შურისა და ინტრიგისა, რაც მაჩვენებელია ერის სულიერი უძლურებისა, მაღალ იდეათა დეფიციტისა, საეროვნო მოქმედებათა ნაკლოვანებისა.

სრულიად მართალი დებულებაა, რადგან ყოველი ერის ცხოვრებაში არის დრო ამაღლებისა და დრო დამცირებისა, ყოველთვის ღვთის თვალი ვერ და არ ტრიალებს ერის განუწყვეტელ არსებობაში.

დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ ისეთ ნაწარმოებად არის მიჩნეული, რომელიც შექმნილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ პერიოდში, როცა ყოველგვარი პირობა არსებობდა მხატვრულ ნაწარმოებში გამოხატულიყო დეპრესიული ვითარება, თუმცა — ეს მოგვცა სრულიადაც არ ნიშნავს „სურამის ციხის“ უფუნქციობას, ან რაიმე მნიშვნელობის უქონლობას. პირიქით, მისი ავტორი ქართველი გლეხობის მდგომარეობით გულშეწუხებულია. ამ გლეხობის ცხოვრების დრამატული მხარეების კარგად მცნობი და გამომხატველი მოქალაქეობრივი პროტესტისა იმ ველური დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელიც რეალურად არსებობდა მისი დროის საქართველოში. დ. ჭონქაძე თავისი მშობლიური ხალხის მეამატიანეა, ეს მატიანე კი აგებულია ძლიერისაგან უძლურის ჩაგვრაზე, უფლების მქონესაგან უუფლებო, ყმობის ულელში შებმულ ადამიანთა მიმართ უადამიანო მფლობელობაზე.

ჩვენთვის ცნობილია ავტორის ბიოგრაფია, მისი მოკლე და, ამასთან, განუკურნებელი სენით მოწამლული სიცოცხლე, ტკივილებით და მწუხარებით აღსავსე ოჯახური ყოფა, ახალგაზრდა მეუღლის სიკვდილი, ერთადერთი შვილის მოვლა-აღზრდა და აჩქარებული სიკვდილი დაბადებიდან 30 წლის თავზე.

თვით ავტორის ბიოგრაფია ძლიერ კარგი მასალაა მხატვრული ნაწარმოებისათვის, ადამიანური ტრაგედიისათვის.

„სურამის ციხის“ ბოლომდის მიყვანა, მისთვის თუნდაც ეპოქის შესაფერისი გარეგნული ფორმის მიცემა, სიტყვის დახვეწა, თვითკონტროლი ფრაზის გამართვაში თუ ენობრივი ჭსოვილის სიწმინდის მიმართ სრულიად არ ჩანს ნაწარმოებში. მიუხედავად ამისა, იგი დაბეჭდვისთანავე სახალხოდ იქცა და პირველი პუბლიკაციის შემდეგ (ივანე კერესელიძის „ცისკარში“ 1859 წ. № 12 და 1860 წ. № 1) ცალკე გამოცემებად ზზირად გამოდიოდა. ნაწარმოების თემა და ავტორისეული პათოსი ისეთი ცოცხალი, აქტუალური და მოგებიანი იყო, რომ წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო გამოარის, რომ მან პირველმა ძლიერად შემოჰკრა ზარი, რომლის ზმამაც შეძრა ქვეყანა და ერი. ძლიერად შემოჰკრა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებაში იქნა ნაჩვენები სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის და ყოფის შედეგად გამოწვეული ტრაგედია. ვგულისხმობ ამ მწერლის მოთხრობას „ელენე“.

დ. ჭონქაძემ ერთი მთავარი აზრი გაატარა თავის ნაწარმოებში: ერთის ბატონობა მეორეზე რაკვნის ერთსაც და მეორესაც. მწერალს ეს ამბავი ხდება სურამის ციხის აშენების ხანს (შეა საუკუნეები), მაგრამ ნაწარმოებში მწერლის თანამდროვეობა ღაღადებს. იგი გამოჩანს ოსმან-აღას და დურმიშხანის საქმიანობაში.

ნოდარ — ოსმან-აღა, დურმიშხან და გულისვარდი-ვარდუა — ესენი მოთხრობის მთავარი მოქმედნი პირნი არიან. მოქმედება ზდება არაგვისპირზე, ეპიზოდებია თბილისური, სურამული, გაკვრით სტამბოლური ყოფისა. მწერალი მკითხველის თვალწინ ზრდის თავის პერსონაჟებს, ისინი ბავშვობიდან ან ახალგაზრდობიდან ჩნდებიან მოთხრობაში და მიდიან თავის ტრაგიკულ აღსასრულამდის. მწერალი ქმნის ხელშესახებ პეიზაჟებს, რომელნიც მოქმედ პირთა განწყობილების მიხედვით იცვლება, ისინი მწერალს პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად აქვს გამოყენებული. თუმცა, ზოგჯერ პერსონაჟის განწყობილება და ბუნება ერთურთს არ ეთანხმებიან: „მზე კი მხიარული იცქირება, თითქოს იცინის კაცის მწუხარებაზედ, ვითომც არაფერი ქავშირი არა აქვს კაცთა ცხოვრებასთან“.

მოთხრობის წაკითხვა აუღელვებლად არ შეიძლება. ახლაც კი, როცა მისი თემა საკმაოდ დაცილებულია ჩვენს აფორიაქებულ ვითარებას, გულგრილად ვერ დარჩება მკითხველი მუხრან-ბატონთა სასახლეში მოსამსახურე იმერელი ბიჭის მიმართ, ახლაც ტრაგიკულად განიცდება გაფწარებული დედისა და ორი მცირეწლოვანი ბავშვის გაპარვა საკუთარი სახლიდან და ეკალ-ბარდებში მალვა თავის გადასარჩენად, ან უღელში შებმული დედის თვალები, დედისერთას ცოცხლად კედელში ჩატანება, საშინელი შურისძიება ფინლში და სხვა ამბავები, რომელნიც მწერალს გამოუყენებია თხზულების აღსაგში. მოთხრობა კაცობრიულობთან არის აღსავსე და ავტორს სრულიად ძალდაუტანებლად მიჰყავს მკითხველი ტრაგიკულ დასასრულამდის.

„ამ ზღაპრის რეალიზმი დასულია პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებამდე... ხელოვნება არის სინამდვილის გამეორება და ამ მახვილი კუთხით დაყვანა ემოციების და ინტელექტის უკანასკნელ საზღვრამდეო“, — წერდა ვოლტენ კოტეტიშვილი. მართლაც! უკანასკნელ საზღვრამდეა მისული ადამიანთა ყოფა და რჩება ერთადერთი, რაც უხვი სიმართლითაა გამოყენებული მოთხრობაში.

წყეული დროის, სისხლდამღინარე ჭრილობის, ქვეყნის სატკივრის ალალმართლურად ჩვენება-გამოხატვის ემსახურებოდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“.

სოლომონ ხუციშვილი.

მარიჯანი

დაბადების 100 წლისთავის გამო



თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ მარიამ მარკოზის ასული ტყემალაძე — მარიჯანი ექიმ ალექსანდრე ალექსიძეს გაჰყვა ცოლად. ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის წინ. დაიწყო თუ არა ომი, მეუღლე, როგორც სამხედრო ექიმი, ჯერ ავსტრიის, შემდეგ თურქეთის ფრონტზე გაამწესეს. მარიამი მეუღლეს თან ახლდა. პოეტური სულის ახალგაზრდა ქალი ოჯახსაც უვლის და ლექსებსაც წერს. მისი პირველი ლექსი „ტბა“ 1916 წელს დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმეში“ მარიჯანის ფსევდონიმით. თბილისში დაბრუნების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მარიჯანი კვლავ აქვეყნებს ლექსებს, რომელთაც ეტყობათ სევდა და გულგატეხილობა. 20-იან წლებში მარიჯანის შემოქმედებითი სახე უფრო გამოიკვეთა — თემატურად უფრო მრავალფეროვანი გახდა მისი ლექსები. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დაწერილ ერთ თავის ლექსს („ნედლი მასალა“) პოეტი ქალი ასე ამთავრებდა:

„მე ხელთ მიჭირავს მშვენიერი ნედლი მასალა,
თუ ამ წყეულმა დაჭრილ გულმა ცოტა მაცალა“.

და აი, 1921 წელს გამოდის მარიჯანის ლირიკული ლექსების წიგნი, 1926 წლიდან კი იგი სამაგვიროლიტერატურაში იწყებს მუშაობას. სწორედ ამ წელს ყურნალ „ოქტომბერში“ დაიბეჭდა მისი ცნობილი პოემა „ნელი ცირკში“, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად.

პოეტი ქალის სამაგვიროო ნაწარმოებებში ჩანს პატარების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, ლექსები „ლეოს დაბადების დღე“, „პარაშუტი“, „ცელქი გიგლა“, „საპნის ბუშტები“, „ბავშვის მიბაძვა“ და სხვები უშუალოდ გადმოგვცემენ ყმაწვილის უმანკო და ნაზ ბუნებას. მწერალი ცდილობს შექმნას ისეთი მხატვრული სახეები, ბავშვის გულსა და გონებაში რომ ღრმად ჩაიბეჭდება და კეთილ ზეგავლენას მოახდენს მის აღზრდაზე.

ფილოლოგიისა გარეგნული ფორმის მიცემა, სიტყვის დახვეწა, თვითკონტროლი ფრაზის გამართვაში თუ ენობრივი ჭსოვილის სიწმინდის მიმართ სრულიად არ ჩანს ნაწარმოებში. მიუხედავად ამისა, იგი დაბეჭდვისთანავე სახალხოდ იქცა და პირველი პუბლიკაციის შემდეგ (ივანე კერესელიძის „ცისკარში“ 1859 წ. № 12 და 1860 წ. № 1) ცალკე გამოცემებად ზზირად გამოდიოდა. ნაწარმოების თემა და ავტორისეული პათოსი ისეთი ცოცხალი, აქტუალური და მოგებიანი იყო, რომ წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო გამოარის, რომ მან პირველმა ძლიერად შემოჰკრა ზარი, რომლის ზმამაც შეძრა ქვეყანა და ერი. ძლიერად შემოჰკრა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებაში იქნა ნაჩვენები სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის და ყოფის შედეგად გამოწვეული ტრაგედია. ვგულისხმობ ამ მწერლის მოთხრობას „ელენე“.

დ. ჭონქაძემ ერთი მთავარი აზრი გაატარა თავის ნაწარმოებში: ერთის ბატონობა მეორეზე რაკვნის ერთსაც და მეორესაც. მწერალს ეს ამბავი ხდება სურამის ციხის აშენების ხანს (შეა საუკუნეები), მაგრამ ნაწარმოებში მწერლის თანამდროვეობა ღაღადებს. იგი გამოჩანს ოსმან-აღას და დურმიშხანის საქმიანობაში.

ნოდარ — ოსმან-აღა, დურმიშხან და გულისვარდი-ვარდუა — ესენი მოთხრობის მთავარი მოქმედნი პირნი არიან. მოქმედება ზდება არაგვისპირზე, ეპიზოდებია თბილისური, სურამული, გაკვრით სტამბოლური ყოფისა. მწერალი მკითხველის თვალწინ ზრდის თავის პერსონაჟებს, ისინი ბავშვობიდან ან ახალგაზრდობიდან ჩნდებიან მოთხრობაში და მიდიან თავის ტრაგიკულ აღსასრულამდის. მწერალი ქმნის ხელშესახებ პეიზაჟებს, რომელნიც მოქმედ პირთა განწყობილების მიხედვით იცვლება, ისინი მწერალს პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად აქვს გამოყენებული. თუმცა, ზოგჯერ პერსონაჟის განწყობილება და ბუნება ერთურთს არ ეთანხმებიან: „მზე კი მხიარული იცქირება, თითქოს იცინის კაცის მწუხარებაზედ, ვითომც არაფერი ქავშირი არა აქვს კაცთა ცხოვრებასთან“.

მოთხრობის წაკითხვა აუღელვებლად არ შეიძლება. ახლაც კი, როცა მისი თემა საკმაოდ დაცილებულია ჩვენს აფორიაქებულ ვითარებას, გულგრილად ვერ დარჩება მკითხველი მუხრან-ბატონთა სასახლეში მოსამსახურე იმერელი ბიჭის მიმართ, ახლაც ტრაგიკულად განიცდება გაფწარებული დედისა და ორი მცირეწლოვანი ბავშვის გაპარვა საკუთარი სახლიდან და ეკალ-ბარდებში მალვა თავის გადასარჩენად, ან უღელში შებმული დედის თვალები, დედისერთას ცოცხლად კედელში ჩატანება, საშინელი შურისძიება ფინლში და სხვა ამბავები, რომელნიც მწერალს გამოუყენებია თხზულების აღსაგში. მოთხრობა კაცობრიულობთან არის აღსავსე და ავტორს სრულიად ძალდაუტანებლად მიჰყავს მკითხველი ტრაგიკულ დასასრულამდის.

„ამ ზღაპრის რეალიზმი დასულია პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებამდე... ხელოვნება არის სინამდვილის გამეორება და ამ მახვილი კუთხით დაყვანა ემოციების და ინტელექტის უკანასკნელ საზღვრამდეო“, — წერდა ვოლტენ კოტეტიშვილი. მართლაც! უკანასკნელ საზღვრამდეა მისული ადამიანთა ყოფა და რჩება ერთადერთი, რაც უხვი სიმართლითაა გამოყენებული მოთხრობაში.

წყეული დროის, სისხლდამღინარე ჭრილობის, ქვეყნის სატკივრის ალალმართლურად ჩვენება-გამოხატვას ემსახურებოდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“.

სოლომონ ხუციშვილი.

რუსთაველის საზოგადოებაში

ერთად, ერთმანეთის მხარდაჭერით

კოოპერატივ „აქტრისა მარგარეტას“ დარბაზში რუსთაველის საზოგადოების ერთაშორის ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე გ. გაჩეჩილაძე და ამ საზოგადოების წევრები შეხვდნენ თბილისში მცხოვრებ სომხებს იმ მომწოფებულ აზრთან დაკავშირებით, რომ „რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნას საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ასოციაცია.

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ქართველი და სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელად აირჩიეს გაზეთ „ხორურდაინ ვრასტანის“ განყოფილების გამგე გრანტ აბრამიანი.

ცოტა ხნით ადრე კი ამავე დარბაზში შეიდგა საქართველოში მცხოვრებ ქურთთა ასოციაცია „რონაის“ (სინათლე) დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ქურთთა ასოციაციის გამგეობა და დაამტკიცა სარევიზიო, დარგობრივი კომისიების და უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეები.

„რონაის“ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩეულია თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი იური ნაბიევი ((ნური ანკოსი), პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ინსპექტორი მერაბ შამოევი. დამტკიცდა ასოციაციის უხუცესთა საბჭო, რომელიც აერთიანებს საქართველოში მცხოვრებ ქურთთა რელიგიურ-სასულიერო და საერო საზოგადოების ავტორიტეტულ წარმომადგენლებს (თავმჯდომარე — საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი აზიზ ისკო).

ზორენა ლებანიძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ბოლოდროინდელი

● **ჩეხოსლოვაკია.** გრძელდება საბჭოთა ჯარების გამოყვანა ჩეხოსლოვაკიიდან. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა ჯარების გამოყვანა ამ ქვეყნიდან გაიმართება სამ ეტაპად და დამთავრდება მომავალი წლის ივლისში.

სურათზე: საბჭოთა არმიის სამხედრო მოხამსახურეების კოლონა ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო პუნქტში.

ჩტკ-საკდსის ფოტო.

კულტურული კონტაქტები

სცენაზეა „მთავარანგელოზი“

ჯია ყანჩელის მუსიკაზე შექმნილი ბალეტის პრემიერა ამსტერდამში

. ბაბაბ. ამსტერდამის მუსიკალურ თეატრში — ჰოლანდიის დედაქალაქის უდიდეს საკონცერტო დარბაზში — გაიმართა ბალეტ „მთავარანგელოზის“ პრემიერა, რომელიც დადგა ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის მუსიკაზე. სპექტაკლი დადგა ნიდერლანდის ეროვნული ბალეტის მთავარმა ბალეტმაისტერმა რუდი ვან დანტიგმა.

„მთავარანგელოზში“ სრულდება გია ყანჩელის მეოთხე სიმფონია, რომელიც 1976 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ჰოლანდიელი ბალეტმაისტერის მიერ ბალეტისათვის მუსიკის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა. თავის დროზე ამერიკელმა კრიტიკოსმა ჯეიმს ფელტონმა მეოთხე სიმფონიას, რომელსაც ჰქვია აგრეთვე „მიქელანჯელოს ხსოვნას“, ყველაზე გაბედული უწოდა საბჭოთა მუსიკის ახალ ნაწარმოებთაგან, რომლებიც ოდესმე დასავლეთში შესრულებულა.

„მე, როგორც მუსიკის ავტორს, ცხადია, მაქვს ჩემი სახეები, რომლებიც დაკავშირებულია მეოთხე სიმფონიასთან, — უთხრა საკდესის კორესპონდ[illegible] გია ყანჩელმა. — კარგია, [illegible] საკუთარი გრძნობები ემთ[illegible] იმ კაცის გრძნობებს, რომ[illegible] სხვა ქვეყანაში ცხოვრობ[illegible] მისთვის უცნობ მუსიკაზე[illegible] ლეტს დგამს. ეს მთელი [illegible] ულით შეძლო „მთავარანგ[illegible]ზში“ რუდი ვან დანტიგ[illegible] უდიდესი კმაყოფილება განიცადე ჰოლანდიელ მოცეკვავეებისა მიერ ბალეტის ბრწყინვალე შესრულებით, რუდი ვან დანტიგის ოსტატობით, რომელმაც სპექტაკლში თითქმის ჩემი შეგრძნებანი გამოხატა.

ბალეტ „მთავარანგელოზს“ მაღალი შეფასება მისცეს ჰოლანდიელმა რეცენზენტებმა. როგორც გაზეთი „ფოლკსრანტი“ წერდა, გია ყანჩელის მუსიკას ვერცერთ ცნობილ მიმართულებას ან მიმდინარეობას ვერ მიაკუთვნებ. თავისთავადობა და ნათელი სტილი იმით აიხსნება, რომ კომპოზიტორის სხვა კულტურულ ტრადიციებს განეკუთვნება, აგრეთვე მისი დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნებით.

სამი თვის მანძილზე, გია ყანჩელის მუსიკაზე დადგმული „მთავარანგელოზი“ ნიდერლანდის ეროვნული ბალეტის შესრულებით წარმოდგენილი იქნება ჰოლანდიის ბევრ ქალაქში. შემდეგ მისი პრემიერა გაიმართება ჰამბურგსა და დიუსელდორფში.

შემთხვევა

გაიტაცეს 35 მილიონი ფრანკი

● **ბერნი. 35 მილიონი ფრანკი გაიტაცეს მძარცველებმა შვეიცარიის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის „შვაიცერიშერ ბანკფერაინის“ ფილიალიდან.**

როგორც შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ოთხმა დამნაშ

27 მარტი—თმატრის საერთაშორისო დღეა!

ხელოვნების მარშრუტებით

თბილისი რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასი საზღვარგარეთ მოგზაურობისათვის ემზადება. 28 მარტს იგი გაფრინდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ბრუკლინის მუსიკის აკადემიის ცენტრში ხელოვნების დათვალიერებაზე უჩვენებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარს — შექსპირის „შეფე ლირს", რომლის დადგმა რობერტ სტურუას ეკუთვნის. ეს ქართველი მსახიობების საპასუხო ვიზიტია. შარშან ზაფხულში თბილისს ეწვია პიტერ ბრუკის თეატრი, რომელმაც წარმოადგინა თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორის მიერ დადგმული ჩეხოვის „ალუბლის ბაღი".

რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რობერტ სტურუამ მიიღო მიწვევა დიდი ბრიტანეთიდან. ინგლისში სამუშაოდ საზღვარგარეთელი მსახიობებისა და რეჟისორების მიმწვევი ფირმის პატრონებმა—პიტერ ჰოლმა და ტელმა ჰოლტმა შესთავაზეს ქართველ რეჟისორს ლონდონში დადგას შექსპირის ერთ-ერთი პიესა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, რობერტ სტურუამ, თელ-ავივის ეროვნული თეატრის „ჰაბიმას" სცენაზე ახლახან დადგა მოლიერის „ტარტიუფი".

ახალი ნამუშევარი

თბილისი რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე შედგა გურამ ბათიაშვილის პიესის „შეთქმულების" მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა. სპექტაკლის დასადგმელად მოწვეული იყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი ქავთარაძე. მან რამდენიმე წლის წინათ სოხუმის თეატრის სცენაზე დადგა ეს ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს რუსეთის თვითმპყრობელობის, მისი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს თავდაზღაურობის შეთქმულების ამბავს. სოხუმელთა სპექტაკლს ეწოდება „1832 წელი".

ისევ ქართლის ბედის შესახებ



სურათზე: სცენა ახალი სპექტაკლიდან.

ჯაბარ ლომაკის ფოტო.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში 25 მარტს შედგა დრამატურგ ჯაბა იოსელიანის ორმოქმედებიანი პიესის „საქართველოს უკანასკნელი დედოფალის" პრემიერა. პიესა დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა, კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა მედეა კუპუხიძემ, . სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს გიორგი გუნიას, კომპოზიტორია გივი გაჩეჩილაძე. როლებს ასრულებენ თთარ შეღვინეთუხუცესი (გიორგი XII) სოფიკო ჭიაურელი (დარეჯან დედოფალი), კოტე მახარაძე (ციციანოვი), ნინო კობერიძე (მარიამი), მალხაზ გორგილაძე (იულონ ბატონიშვილი, შემატიანე), რეზო ჩხიკვიშვილი (დავით ბატონიშვილი), ჯემალ მონიავა (სოლომონ ლეონიძე), ვახტანგ თანდილაშვილი (ლაზარევი), გია ბურჯანაძე (გადილა) და სხვები.

პიესა „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" გვიჩვენებს გიორგი მეთორმეტის მეუღლის მარიამის ბედს, საქართველოს ბედის ნაწილიც რომ არის; რეჟისორი სწორედ ამ ეროვნული სატკივრით დაინტერესდა და მაყურებლისთვისაც დღეს ეს თემა—ქართლის ბედია მთავარი.

მოქმედება ხდება ორი საუკუნის წინ, როდესაც რუსეთის ჯარები შემოდის საქართველოში, ბაგრატიონთა ტახტი უქმდება და საქართველო თავისუფლებას კარგავს.

...სცენაზე წარმოისახება ჩვენი წინაპრების ნაღვლიანი ისტორია — საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი ხახჯალს აშიშვლებს რუსთა ჯარის სარდლის განსაგმირავად. სცენაზე შემორბიან რუსი ჯარისკაცები ქართველ ქალთათვის ანგარიშის გასასწორებლად.

ძლიერია მაყურებლის ემოცია — აფეთქებულმა ეროვნულმა გრძნობამ გაიერთიანა სცენა და დარბაზი.

ნანა კიკალია.

საქართველო-თურქეთი: თეატრალური კავშირურთიერთობა

ამას წინათ ბათუმს ეწვივნენ ტრაპიზონის სახელმწიფო დრამატული თეატრის წარმომადგენლები—თეატრის დირექტორი და მსახიობი სერხათ ნალბადოღლუ, რეჟისორი მურათ ათაკი და ტექნიკური ნაწილის გამგე მეთინ ბოგაჯიადი. თურქეთის ხელოვნების მოღვაწეთა ამ პირველ სპეციალიზებულ დელეგაციას მეთაურობდა კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს გენერალური დირექტორის მოადგილე ისმეთ სურმუზლუ.

— ჩვენი ვიზიტის მიზანია, — გვითხრეს სტუმრებმა, — შემოქმედებითი კონტაქტები დავამყაროთ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. გავეცნოთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებას, ბათუმში ვნახეთ გ. დოჩანაშვილის სპექტაკლი „ხორუმი ქართული ცეკვაა" და შოლომ-ალეიხემის „მერძევე ტევიე", მოვილაპარაკეთ ადგილობრივი თეატრის წარმომადგენელთა ტრაპიზონში სპასუხო ვიზიტის შესახებ. მაისში ტრაპიზონელები პირველად ნახავენ სცენაზე ქართულ პიესას, შემოდგომაზე კი ჩვენი თეატრი უჩვენებს ბათუმელებს ეროვნულ პიესას.

მომავლისათვის დასახულია ორი თეატრის ხანგრძლივი გასვლითი გასტროლები საქართველოსა და თურქეთში, პერსპექტივისათვის — შავი ზღვის თეატრალური ფესტივალების გამართვა ბათუმსა და ტრაპიზონში.

ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს კულტურული ცხოვრების გაცნობამ. დიდხანს დაგვამახსოვრდება გულთბილი შეხვედრები კოლეგებთან თბილისში, გორში, ჭუთასში, თქვეს სტუმრებმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში.

ეკრანის სიახლენი

„მდგმურები"

კინოსტუდია „ქართული ფილმი" გვთავაზობს სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „მდგმურებს", ფილმის რეჟისორია მანჰეინის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი დათო ჯანელიძე, სცენარის ავტორები არიან მწერალი მამუკა დოლიძე და დათო ჯანელიძე. მთავარ როლებს ასრულებენ: ბუბა ხოტივარი, ნანა მონია, ნინო კობერიძე, მიხეილ ჯოჯუა, ოთარ ბაღათურია, ბაია დვალიშვილი და სხვები.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლის წინ კინოკომიტეტში გაიმართა „მდგმურების" ჩვენება და პრესკონფერენცია. მოწვეულმა სტუმრებმა, პრესის და ტელევიზიის წარომადგენლებმა კინოგაქირავების მუშაკებმა და კინომცდნეებმა შეკითხვებით მიმართეს ფილმის რეჟისორს.

ფილმის თავარი გმირია საშუალო ასაკის თბილისელი მამაკაცი, რომლის უნიათობით ისარგებლებენ საეჭვო პირები და ბინაში ჩაუსახლდებიან. სიზმარი და ცხადი, რეალური და ირეალური შეუმჩნევლად გადადის ერთმანეთში. სიმბოლოები ხატავენ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას და პოლიტიკურ სიტუაციას.

— სცენარში პოლიტიკა არ იყო. ჩემმა ვაწყობილებამ და მდგომარეობამ იმოქმედა და ფილმი ასეთი გამოვიდა, — გვითხრა დ. ჯანელიძემ.

ორშაბათიდან თბილისელ მაყურებელს კინოთეატრმა „ოქტომბერმა" შესთავაზა „მდგმურები". მოეწყო შეხვედრა ფილმის შემოქმედებით ჯგუფთან.

მაშ ასე, კინოსტუდია „ქართული ფილმი", გიწვევთ ახალი ნამუშევრის „მდგმურების" პრემიერაზე.

ნანა ხოხობაშვილი.

მხატვრის სახელოსნოში

ზინ ემირ ბურჯანაძე და ნებანება ესათუთება, ეფერება ქართულ ანბანს, აუჩქარებლად, დაკვირვებით გამოჰყავს ქვეყანა ქაღალდზე ყოველი ასო-ნიშანი.

— ეს წყალტუბოს გერბი — სიმბოლო უნდა იყოს — მეუბნება და ახლა შორიახლოდან აკვირდება ნამუშევარს, — შემიკვეთეს და მეც მინდა რაღაც განსაკუთრებული იყოს... თუ გამომივიდა, რა თქმა უნდა... განსაკუთრებული იმიტომ, რომ მე მაინც წარმოშობით იმერეთიდან ვარ — ობჩელი... იქ მამა-პაპისეული სახლი მიდგას, ვენახი მაქვს საუკეთესო... ეს არის, რომ ვეღარ ჩავდივარ ხშირად... ამ ბოლო დროს მაინც იმდენი საქმე და უსიამოვნო ამბები დამიგროვდა...

• • •

საქართველოს სხვადასხვა კუთხის უმშვენიერესი ქალაქების გერბებსა და სიმბოლოებს, ბოლო წლებში, გატაცებით ქმნის ემირ ბურჯანაძე. უპირველესად თბილისის თემაზე მუშაობს მხატვარი. ერთიმეორეზე უკეთესია თბილისის გერბები, გასაღებები, სიმბოლოები დროშისა და ალმისათვის, „თბილისობისადმი" მიძღვნილი სამახსოვრო მედლები. როგორც ვიცით, ამ ცოტა ხნის წინათ, თბილისის საქალაქო საბჭოს სესიამ დამტკიცა თბილისის გერბი — სიმბოლო, მოიწონა აგრეთვე დროშისა და ქალაქის სიმბოლური გასაღების ესკიზი, მხატვარს თბილისის გერბში ჩვენი დედაქალაქის წარსული დღევანდელობის თანხმიერი გაუხდია და შინაარსობრივად გაუმდიდრებია, აქ ღრმა პროფესიონალიზმს ეერწყმის დახვეწილი გემოვნება, სინატიფითა და გამომსახველობით არის აღბეჭდილი ყოველი შტრიხი და მონასმი.

მხატვარი ამჟამად წარდგენილია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე.

• • •

ემირ ბურჯანაძე — წიგნის მხატვარ-გრაფიკოსი, პირადად მე, ჯაბა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიათი" გავიცანი, და ვიგრძენი ქართული ანბანის სრულიად ახლებური მხატვრული გააზრება, მისი უზღვავი შესაძლებლობების წარმოჩენის ცდა. არ ვეჭარბებ, აქ გალაკტიონიც გამახსენდა, ქართულ ანბანს რომ აქებს, გონებაში ის წარმოტივტივდა: „მარადისი სიახლე გაქვს ორბის, ხვეულები გრუნელების ორფის, გამშვენებდა ახლის წინამორბედს ოცდაექვსი საუკუნის წინათ"... ახლა თვითონ მწერლის პორტრეტი? ესეც სრულიად თავისებური იყო.

ჩემი აზრის განსამტკიცებლად, მოდით პროფესიონალსაც მოვუსმინოთ. კერძოდ, აი, რას ამბობს ემირ ბურჯანაძის შემოქმედებაზე ცნობილი არქიტექტორი **ვახტანგ დავითაია:** „არიან მხატვრები, რომლებზეც საუბარი იოლია. იოლია იმდენად, რამდენადაც არ გიწევს „შესაფერი" სიტყვების ძებნა, სიამოვნებითაც საუბრობ, რადგან საშუალება გეძლევა შენი დამოკიდებულება მის შემოქმედებაზე გაუცხადო მასაც და უარით საზოგადოებრიობასაც. ასეთია ჩემთვის ემირ ბურჯანაძე. მასში ჰარმონიულად არის შეწყობილი დიდი ნიჭი და შრომისმოყვარეობა, სინატიფე და დახვეწილობა ნამდვილ აზრთან.

რა ამოცანასაც უნდა სწყვეტდეს მხატვარი, იქნება წიგნის გრაფიკა, ორნამენტი, შრიფტი, ჰერალდიკა, ემბლემა, საფირმო ნიშანი თუ ექსლიბრისი, ყველაფერს აკეთებს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით"...

• • •

ემირ ბურჯანაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში უკვე კარგა ხანია ხელმძღვანელობს შრიფტის სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიას.

— ვცდილობ, სრულად გამოავლინოთ ქართული ანბანის მხატვრული ინტერპრეტაციის შესაძლებლობანი, სრულვყოთ შრიფტის სახვითობა. კონსტრუქციულობა, პლასტიკურობა, რიტმულობა...

• • •

რა თქმა უნდა, ემირ ბურჯანაძის სტიქია გრაფიკაა, მაგრამ მხატვარი წარმატებით მუშაობს როგორც ფერწერაში, ასევე ქანდაკებაშიც. უდიდესი სიამოვნებაა მისი ფერწერული მინიატურების ხილვა.

მხატვარი მიჩვენებს ესკიზებს, ჩანახატებს...

...ირგვლივ კი გაზაფხული ნთქავს, ნელ-ნელა იკრებს ძალას ხასხასებს და ქვეყანას გარეთ იწვევს...

ცხადია, მხატვარსაც.

ვილენ მარდალეიშვილი.

სინატიფე

პარკის გასაჭირი და სიახლენი

დიდი და სახელოვანი წარსული აქვს წინანდლის ჭავჭავაძეთა პარკს, რომელიც ბოლო დროს მეტად საეჭვალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეროზიისა და წყალდიდობის გამო მისი ფართობის გარკვეული ნაწილი დასავლეთით ჩამომდინარე ცივისწყალმა მიიტაცა, ხოლო არსებული ხე-მცენარეები და ნიადაგი დაავადდა. სტიქიის შემოტევა პარკის ერთადერთი გასაჭირი როდია — „მუზათა საუფლოს" არანაკლები ზიანი მიაყენა ადამიანთა დაუდევრობამ, რომლებიც გარემოს და სიტუაციის გაუთვალისწინებლად მის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამუშაოს აწარმოებდნენ, განუტვირთველ ჭრილობებს აყენებდნენ ნიადაგს. ამის თაობაზე კრიტიკული კორესპონდენციები დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში, ბუნებისა და ისტორიის უნიკალური ძეგლისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე პრინციპული მსჯელობა გაიმართა „მწვანეთა" რაიონულ შეკრებაზეც.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რომლის სამეურნეო საქმართველოს დაქვემდებარებაშიც იმყოფება პარკი, ღონისძიებები შეიმუშავა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ყოველივე ამის შესახებ იყო საუბარი ამას წინათ წინანდალში გამართულ საკრებულოზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მეცნიერებმა, დამპროექტებლებმა, თელავის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

პარკის ეროზიისაგან წაღებული მიწის აღდგენის პროექტი დაასწრეთ გააცნო მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა გიორგი ჩანგაშვილმა. პროექტის მიხედვით, რომლის განხორციელებაც უახლოეს დროში დაიწყება, გათვალისწინებულია მდინარე ცივისწყლის (ცისისხვეის) კალაპოტის ამოწმენდა, ხეების, პარკის გასწვრივ, 4 მეტრის სიმაღლის რკინაბეტონის ჯებირის გაკეთება და შემდეგ შემოზღუდული ტერიტორიის ამოვსება. ხელოვნური ფერდობის შექმნის გზით პარკის ფართობს, რომელიც ამჟამად 11 ჰექტარს შეადგენს, 40 ჰექტარი დაემატება და მას თავისი თვალი დაპირავენი სახე დაუბრუნდება. შემატებულ ტერიტორიაზე ბოტანიკური ბაღი გაშენდება, ჩატარდება ეკოლოგიური და მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად პარკის განახლების პროცესს.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სატურნირო ორბიტა

● **ჩოგბურთი.** დიდი ხანი როდი გავიდა, რაც კრასნოიარსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩამპიონატი ქალთა შორის, როგორც გვახსოვს, მან ეროვნულად ჩაიარა, რადგან მასში არ მონაწილეობდნენ საბჭოთა ჩოგბურთის ქალი „ვარსკვლავები".

ახლა კრასნოიარსკის მეტალურგიული ქარხნის სპორტის სახლი ვაჟთა პირველობას მასპინძლობს. 20 სპორტსმენი პაექრობს ფინალში გასასვლელად. ის კი 30 მარტს დაიწყება.

ჯერჯერობით საუკეთესო ათეულს ორმა ჩოგბურთელმა განაცხადა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი. პირველი ვარჯიშები ჩაატარეს მინსკელმა სერგეი სკაკუნმა და თბილისელმა დავით ჯაჯანავამ. მათთან ერთად ფინალში ითამაშებს ჩვენი თანამემამულე ვლადიმერ გაბრიჩიძეც. ჯერჯერობით გაურკვეველია, ჩავალენ თუ არა კრასნოიარსკში მოსკოველი ანდრია ჩესნოკოვი, კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი და უფელი ანდრია ჩერკასოვი, რომლებიც ეს-ეს არის მორჩნენ საერთაშორისო ტურნირებში თამაშს.

● **სამბო.** თბილისელმა მალხაზ ბერიაშვილმა გაიმარჯვა მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში. მასში მონაწილეობდნენ როგორც სტუმრები ბულგარეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, მაროკოდან, მონღოლეთიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიისა და იაპონიიდან, ისე ვეტერანები, კუბელი და ლიბანელი სტუდენტი სპორტსმენები, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. სატიო ჯილდოებისაკენ ვეტერანთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ.

რედაქტორის მოადგილე
მ. უბრეხელიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 75 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მამია ძიუშვარდის ძე
დუმბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

27 მარტი

ბაზაფხულის მუსიკალური პალიტრა

ბაზაფხულის გამოღვიძების ხასხასა ფერები და ხმები მოჰფინეს ამ დღეებში საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენას. ტრადიციული დღესასწაულის — საყმაწვილო მუსიკის კვირეულის მონაწილეებმა. იგი საზეიმოდ გაიხსნა 26 მარტს გალა-კონცერტით, რომელზეც აჟღერდება ყველა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები. ერთი კვირის მანძილზე მუსიკის დღესასწაული თავისი ემბლემით შეკრებს ასობით ბავშვს, საბავშვო სიმღერა და ზოგადაგანმანათლებლო სკოლების აღსაზრდელებს, სიმღერეროვანი ანსამბლებს, კომპოზიტორებს.

საინტერესო და მდიდარია წლევანდელი დღესასწაულის პროგრამა. მისი ტონალობა დღეს საქართველოში ფართოდ გაშლილმა ეროვნულმა მოძრაობამ განსაზღვრა, ამიტომაც პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულმა ხალხურმა და პროფესიულმა მუსიკამ. ნორჩ მუსიკოსებს შესთავაზებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ქართველ კომპოზიტორებს ყმაწვილებისთვის შეუქმნიათ. ჩვენს აფიშებზე დაინახავთ ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის და სხვა ოსტატების სახელებს. და, რაღა თქმა უნდა, შესრულდება მსოფლიო მუსიკალური კლასიკის ნიმუშები.

მსმენელთა გულის გზას გაიკაფავს კომპოზიტორების ლეონა ხაფავას, ელეონორა ექსახიშვილის, რუსეთიდან ხორავას და სხვათა თხზულებანი. თავიანთი თანატოლების სამსჯავროზე საკუთარ ნაწარმოებებს გამოიტანენ ნორჩი კომპოზიტორები, რომლებიც 31 მარტს მუსიკის მოყვარულებს იწვევენ ელენე აბელიდიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, სადაც გაიმართება შეხვედრა ნორჩ მხატვრებთან.

დღესასწაულის დღეებში მსმენელთა წინაშე გამოვლენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ჯეკალ ჭკუსელის ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ სახტელერადიოს რეკვიზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური სპეციალური საშუალო სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები, მეორე სამუსიკო სასწავლებლის საესტრადო განყოფილების მოსწავლეები. დათვალიერების სტუმარი იქნება ქუთაისის ხალხური სიმღერის ბავშვთა ანსამბლი.

საყმაწვილო მუსიკის კვირეულის ზაზეიმო ვითარებაში დასრულდება 1 აპრილს. შთამბეჭდავი გახდება ყველა დასკვნითი აკორდი: სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს ქართული მუსიკის უხუცესის, სოციალისტური შრომის გმირის ანდრია ბალანჩივაძის მესამე საყმაწვილო კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ორკესტრს უდირიჟორებს ავტორი. მისი კონცერტის პირველ ნაწილს შეასრულებენ ისინი, ვისადმიც მიმართულია იგი. ნაწარმოების ორ ნაწილს კი კომპოზიტორი შეასრულებს.

— ალბათ, საჭირო არ არის იმის ახსნა, რომ ჩვენს დროში ბავშვთა ნამდვილი, სერიოზული ხელოვნებით აღზრდის პრობლემა პირველ პლანზე გადმოდის, — ამბობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერი დავითაშვილი. — ახლა, როცა ჩვენს საზოგადოებას სულიერი განახლების რთული პროცესი დაუდგა, უნდა გამოვნახოთ ყველაზე ფართო შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობას ჩამოვუყალიბოთ ესთეტიკური გემოვნება. მუსიკა და ზნეობრიობა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ბავშვზე თავისი ზემოქმედებით მუსიკას შეუძლია მიაღწიოს ყველაზე მთავარს: განაცდევინოს ქცევის, სიტუაციების, გრძნობების ზნეობრიობა. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს. ალბათ ეს არის მუსიკალური კვირეულის ძირითადი მისიაც.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვაგუყოგინებს

1990 წლის 21-22 მარტს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 46 დანაშაული სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით, მათ შორის 2 მკვლელობა, 7 სხეულის დაზიანება, 4 სახელმწიფო ქონების ქურდობა, 11 მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, 1 ძარცვა, 2 ხულიგნობის ფაქტი, 10 ავტომანქანის გატაცება.

საშინელი დანაშაული მოხდა გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში, სადაც „მტკვარწყალმშენის" მუშამ ი. ნადიბაიძემ ჩხუბის დროს დანით მოკლა მამამისი.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების გატაცებებთან ბრძოლის ჯგუფის თანამშრომლებმა დააკავეს დ. კოხრეიძე და გ. შავლოხოვი, ზრომლებმაც ორი დღით ადრე ვაჟა-ფშაველას პროსპექტიდან გაიტაცეს ავტომობილი ვაზ-2106. ავტომანქანის დასაბრუნებლად ისინი პატრონს სძალავდნენ 3 ათას მანეთს. ავტომანქანა უვნებლად დაუბრუნდა პატრონს. დაკავებულია აგრეთვე ვ. სენკევიჩი, რომელმაც გაიტაცა ავტომანქანა ვაზ.-2106. ისიც პატრონს დაუბრუნეს.

რუსთაველის პროსპექტზე „ალიანნის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დაიკავეს ნასვამი ლ. ქუმსიაშვილი, საკავშირო საავტო საზოგადოება „ინტურისტის" სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მუშა, რომელმაც ჩაამსხვრია სალონ „ოცნების" მინა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა გამვლელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა თბილისში დაიკავეს ხულიგნობისთვის ძებნილი პ. ფილეევი, ტყვარჩელში — ო. შავიკინი, ქ. ოჩამჩირეში მცხოვრები, რომელიც 9 მარტს გაიქცა ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორიდან. სულ დღეისათვის დაკავებულია 4 პატიმარი გაქცეული 17-დან.

ამ ბოლო დღეებში მოხდა კიდევ რამდენიმე გაქცევა. ქალაქ გორში სასამართლოს დარბაზიდან სასამართლო პროცესის დროს გაიქცა განსასჯელი ბ. ნიკოგოსოვი, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. მიღებულია ზომები მის სასწრაფოდ და დასაკავებლად. ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სამართალდამცველ ნაწილიდან გაიქცა დაპატიმრებული თ. ჯიმშელეიშვილი. ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქიროურგიული განყოფილებიდან მილიციის მუშაკების დაცვას გაექცა გ. გულბანი. მიმდინარეობს სამსახურებრივი გამოძიება, გაქცეულთა ძებნა.

გამოვლინდა 4 პირი, რომლებიც ხმაურობდნენ, ინახავდნენ და ასაღებდნენ ნარკოტიკებს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაიღუპა 4 კაცი, სხეულის დაზიანება მიიღო 16 კაცმა.

ქალაქ თბილისში სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა ამოიღეს ლ. ბენაშვილი, რომელმაც კოოპერატივის შექმნასა და შესაბამისი მოწყობილობის შეძენაში დახმარების გიწევს საბაბით მოქალაქე დ.-ს გამოძალა 12000 მანეთი. სოხუმის სადგურში ბინის საკითხის გადაჭრაში ხელშეწყობისათვის 500 მანეთი თანხის ქრთამის მიღებაში მხილებულია ტყვარჩელის რკინგზის სადგურის უფროსი ო. კოსტორუბოვა.

მყიდველთა მოტყუებაში მხილებული ორიან თბილისის ერთ-ერთი კოოპერატივის მუშაკები ლ. კაჩარიანი და მ. გეგორქიანი, № 30 მაღაზიის გამყიდველი ლ. კობერიძე, აქვე აღმოაჩინეს გადაძალული დეფიციტური საქონელი: დასაფქვავი ყავა, სიგარეტი, შოკოლადის შენარჩევი.

მთლიანად, ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკთა მიერ მოწყობილი რეიდების შედეგად ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში გამოვლინდა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები, გადაძალული დეფიციტური სამრეწველო საქონელი და სასურსათო პროდუქტები" თბილისინდკერვის" გაერთიანების № 30 ატელიეს № 1 ფილიალში, პირველი მაისის რაიკავშვაჭრობის № 58, თბილისქსოვილფეხსაცმელვაჭრობის №117, ლენინის რაიკავშვაჭრობის № 42, კიროვის რაიონის № 2 „სპორტსაქონლის", თბილისგრომრეწვის № 86, თბილისსამეურნეო ვაჭრობის № 19, „თბილისკულტსაქონლის" № 36 მაღაზიებში, უნივერმაღ „მოსკოვში", „სოიუზჩიტის" № 189 კიოსკში, № 2 ცენტრალური უნივერმაღის და სავაჭრო ფირმა „ბავშვთა საწყაროს" ფილიალებში.

მიმდინარეობს მოკვლევა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფი.

შეიქმნა ასოციაცია „საქართველო-დიდი ბრიტანეთი"

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან შეიქმნა მეგობრობის დამოუკიდებელი ასოციაცია „საქართველო-დიდი ბრიტანეთი". იგი აპირებს გაიღრმაოს და გაფართოოს ტრადიციული და მჭიდრო ურთიერთობა ქართველ და ბრიტანელ ხალხებს შორის. დამფუძნებელ კრებაზე ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ჯუმბერ ლომინაძე, პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების რეფერენტი სვეტლანა ჩაღუნელი. —მისი წევრები შეიძლება გახდნენ საქართველოს და ბრიტანეთის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი კავშირურთიერთობის განვითარებაში, — აღნიშნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ზურაბ აბაშიძემ, — ასოციაციის გეგმებშია გააცნოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ბრიტანეთის ცხოვრების წესი და პირიქით, ორი ხალხის ტრადიციები, კულტურა. ნავარაუდევია წაახალისონ და ხელი შეუწყონ კულტურისა და განათლების, საზოგადოებრივი მოძრაობების მოღვაწეთა კონტაქტებს. გარდა ამისა, იმედი გვაქვს, რომ ხელს შეუწყობთ ბრიტანეთის სხვადასხვა ფირმასა და ორგანიზაციასთან ურთიერთბენეფიციარული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარებას. ამ მხრივ უკვე გვაქვს წინადადებანი, ისე რომ, რწმენით შეეყურებთ მომავალს. (საქინფორმი).

ლიტვაში შექმნილი ვითარების გამო

ვილნიუსი, 25 მარტი. (საკდესის კორ.). ლიტვის დედაქალაქში ვითარება ამ კვირა დღეს მშვიდი იყო და სავსებით შეესაბამებოდა ამინდს — თუმცა არც ისე თბილოდა, მაგრამ ნამდვილად გაზაფხულის დღე იდგა. რკინასავა, ვინლიუსელები ოჯახებიანად გავდნენ პარკებში, მივიდნენ გამოფენებზე, სეირნობდნენ ქუჩებში. ქალაქი ისვენებდა.

რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების შესახებ საკდესის კორესპონდენტმა კაზის უსაცილამ სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვაცლოვას ზაბარაუსკასს.

— შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, — მიპასუხა მან, — რომ კვირა დღეს როგორც დედაქალაქში, ისე მთელ რესპუბლიკაში წყნარად და მშვიდობიანად ჩაიარა. ყველაფერი ისე იყო, როგორც წინა დღეებში. რა თქმა უნდა, მოხდა ცალკეული დანაშაულობანი, იყო საგზაო-სატრანსპორტო და სხვა შემთხვევები. მაგრამ მთლიანად, კრიმინოგენური ვითარება სტაბილურია. იგი არ გაუარესებულა იმასთან შედარებით, რაც ერთი ან ორი თვის წინათ იყო. მინისტრის მოადგილის აზრით, მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას ტენდენციურად და ცალმხრივად აშუქებს, ცალკეულ ფაქტებს წარმოდგენს როგორც სიტუაციას მთლიანად. მკითხველებსა და ნსმენელებს, რომელთათვის ხელმისაწვდომი არ არის სხვა ინფორმაცია, თქვა ვ. ზაბარაუსკასმა, ასეთი მასალების საფუძველზე შეიძლება შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ლიტვაში ლამის ქვეყნის აღსასრული დამდგარიყოს. ეს სულაც არ უწყობს ხელს წარმოქმნილი რთული სიტუაციის მოწესრიგების საქმეს.

მიტინგი მთავრობის სახლთან

25 მარტს თბილისში, მთავრობის სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შექმნის წლისთავს. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა, პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა, ზვიად გამსახურდიამ, რესპუბლიკის ოპოზიციური მოძრაობების სხვ